№ 8 1877—1905 № 8

ხუთშაბათი, 24 თებერვალი. ხუთშაბათი, 24 თებერვალი.

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, პატარა წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო ად სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორაში მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ცალკე ნომერი 3 კაპ. ცალკე ნომერი 3 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

**პრემიად 12 წიგნს**

სერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

**გაზეთის ფასი:** 15 თებერვლიდან წლის დამლევამდის 8 მან. 50 კაპ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

აბონემენტის გარეშე.

**სახაზინო თეატრი.**

სეზონის უკანასკნელი წარმოდგენა.

ხუთშაბათს, 24 თებერვალს,

→ **ბენეფისი კ. მესხისა** ←

. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ცნობილი პიესა

**რუი-ბლაზი,**

რ. 5 მოქმ. ვ. ჰიუგოსი, თარ. პ. ყიფიანისა და კ. მესხისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, ნ. ჩხეიძე, მესხი და სხ. ბ-ნნი ვ. მესხიშვილი, მესხი, გუნია, ვამიჩაძე და სხ.

პარასკევს, 25 თებ.—ორი წარმოდგენა იქნება. დილით „რუსლანი და ლიუდმილა“, საღამოთი ქ-ნ დონსკაია-ეიხენვალდის საბენეფისოდ—„M-lle ნიტუში“, კომიკური ოპ. 4 მოქმ. მუსიკა ჰერვესი,

რეჟის. **კ. მესხი.**

---

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**მ. ყ ჩიქოვანი.**—9 საათიდან 10 საათამდე—თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი**—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ბ. ა. თარხანოვი**—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი**—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**საღამოობით:**

**ბ. ა. თარხანოვი**—7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი**—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

---

**ტფილისის ექიმები.**

**ალექსი-მესხიშვილი,** სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს ვენერიულ ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 4 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

---

**გძელიშვილი კონსტანტინე**—ელისაბედის ქუჩა, სახლი მილოვისა, № 5.

---

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

---

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

---

**ვაწაძე სპირიდონ**—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**დიასამიძე ალექსანდრე**—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

---

**გაბაშვილი გრიგოლ**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

---

**ახლად გახსნილი**

**ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა**

**„შრომა“**

(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)

**იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.**

## გადმოსახლება თუ დასახლება?

—

ვინც კი ცოტათი მაინც იცნობს ჩვენი სოფლის ცხოვრებას და სოფლელ ხალხის მდგომარეობას, უეჭველად ეცოდინება, თუ როგორ დიდი სიმცირეა მიწისა ჩვენში. მთელს რუსეთის იმპერიაში არ მოიპოვება ისეთი გუბერნია, სადაც გლეხობას ისე მცირე ადგილ-მამული ექიროს, როგორც ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიაში. ხალხი თანდათან მრავლდება, სხვადასხვა სახელმწიფო გადასახადი მატულობს, კულტურული მოთხოვნილება იზრდება, ხოლო მიწა, რა იქმა უნდა, წინანდელ სივრცისაა, და ჩვენი მეურნე ხალხი შიმშილით ამოწყდებოდა, რომ იგი, ასე თუ ისე, არ ახერხებდეს სოფელს გარედ რამე სამუშაოს შოვნას და გარეშე შემოსავლით მიწის ნაკლებობის ცოტათი მაინც შევსებას.

ეხლა საზოგადოებამაც იცის და მთავრობამაც, რომ საქართველოს სოფლებში—განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში—ხალხის დიდი მოძრაობაა. რა სახისა და შინაარსისაც უნდა იყოს ეს მოძრაობა დღეს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მას სათავეში საფუძვლად დაედვა მიწის ნაკლებობა და საერთოდ ხალხის ეკონომიური გაჭირვება. ცხადია,—ხალხის გამრავლება ადიდებს მიწის მოთხოვნილებას და იჯარის ფასს. ეს ზოგადი საეკონომიო კანონია, რომელსაც ემორჩილება ჩვენი სოფლის ცხოვრებაც. ყველამ ვიცით, თუ რა დიდ საიჯარო ფასს იხდიან ჩვენში მიწათ-მომქმედნი. მემამულეს ეძლევა იჯარად მთელი მოსავლის ნახევარი და არა აშვიათად ორი მესამედიც. ტფილის-ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტები, რომლებიც შარშან-წინ არსებობდა და ადგილობრივ მეურნეობის ყოფა-მდგომარეობას იკვლევდა, არ ჰფარავს და პირდაპირ ამბობს თავის მოხსენებაში, რომ მიწის საიჯარო გადასახადი ჩვენში მეტად გაიზარდა,—მიწის საერთო მოსავლის 60%-ს აღემატება,—და აუტანელ ტვირთად აწევს უმამულო გლეხობასო. უმიწობით ჩვენი მეურნე ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ იგი იმდენსაც კი ვერ იღებს სამეურნეო წარმოებიდან, რამდენსაც მისცემდა მას სხვასთან მოჯამაგირეობა და დღიურად მუშაობა. გლეხი არ ანგარიშობს ხარჯებს, არაფრად სთვლის თავის შრომას, თორემ, ყველაფერი რომ ჩოთქზე ჩააგდოს და სამეურნეო ხარჯებს ჯამი გაუკეთოს, დაინახავს, რომ მისი შრომა უმთავრესად სხვის სასარგებლოდ მიდის და თვითონ ყოველთვის წაგებაშია. იგი გრძნობს მხოლოდ გაჭირვებას, გრძნობს შიმშილს, სისაწყლეს, უღონობას და ითმენს, ითმენს დიდხანს უპროტესტოდ, უსიტყვოდ, ხმის ამოუღებლად..

მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს, ანგარიშის სწავლაც შესაძლებელია... რამდენადაც ვრცელდება ხალხში წერა-კითხვა, რამდენადაც იცნობს სოფლელი ქალაქს და ქალაქურ ცხოვრებას, მუშას და მუშების მოძრაობას, იმდენადვე მას თვალები ეხილება და თვითცნობიერება ემატება. იგი არა თუ გრძნობს,—ხედავს კიდეც გაჭირვების მიზეზებს და იწყებს თავის მდგომარეობის გაუმჯობესობისთვის ზრუნვასა და მეცადინეობას...

იწყება ესრედ წოდებული «მოძრაობა», რომელიც ასე საშინლად ეჯავრება ბატონობას მიჩვეულ ბიუროკრატიას. ამისათვის ყოველი ცოტად თუ ბევრად ხმა-მაღლა გამოთქმული მოთხოვნილება და გაჭირვების გამოცხადება—«ბუნტია», არეულობა და აჯანყებაა...

ასეთი სახელით მონათლეს თავიდანვე გურიის მოძრაობა და, უეჭველია, ასეთსავე სახელს დაარქმევენ შემდეგში სხვა კუთხეების გამოღვიძებასაც. სიტყვა „ბუნტი“ ყველაფერს ხსნის, ყველაფერს არკვევს,—ბიუროკრატს აღარ სჭირდება მოვლენის მიზეზებზე დაფიქრება და თავის მტვრევა. ეს ერთი სიტყვა ისეთი თილისმაა, რომელიც ანთავისუფლებს მას ხალხის ცხოვრების მოწყობისათვის შრომა-მეცადინეობისგან.

ნამდვილად კი დღეს ყველა ხედავს, რომ ცხოვრება პოლიციის ბრძანებაზე არ დადის და მის «კომანდას» არ ემორჩილება. ეკონომიურ საკითხების გადაწყვეტა, ხალხის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება სხვადასხვა შესაფერ ღონისძიებით შეიძლება და ამის მაგიერობას ვერ გასწევს კანცელარიებში „საიდუმლო“ ქაღალდების წერა და სოფელში დარაჯთა რიცხვის გაძლიერება. გლეხს არა აქვს მიწა, იხდის დიდ ღალას. ცხადია, აქ უმთავრესად ერთის გზით შეძლება შევიწროებულ გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესება: მას უნდა მისცენ მიწა და გაუჩინონ ისეთი საეკონომიო პირობები, რომ შეიძლოს თავის რჩენა და ადამიანურად ცხოვრების მოწყობა.

ამის სანაცვლოდ რას ვხედავთ ნამდვილად? ვხედავთ, რომ ამ საშუალებაზე არავინ ფიქრობს და, პირიქით, მუდამ ისეთ ღონისძიებას ხმარობენ, რომელიც კიდევ უფრო ამწვავებს და უარესად ხდის ხალხის ყოფა-მდგომარეობას.

აგერ ამდენი ხანია ვუცქერით და არ იქნა,—არ შეიცვალა ძველი მავნებელი «პოლიტიკა», რომელსაც მიზნად აქვს საქართველოს ტერიტორიაზე ქართველ ელემენტის შემცირება და თანდათან შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთა გამრავლება. სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკს ყოველ წლობით დიდძალი მამულები რჩება ქართველ თავად-აზნაურებისა. შეიძლებოდა ეს მამულები ჩვენს გლეხებს შეეძინათ შეღავათიანის პირობებით. მაგრამ იმ „პოლიტიკის“ მეოხებით ეს შეუძლებელი ხდება. ბანკს ნაბრძანები აქვს, რომ მხოლოდ რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხებს მიჰყიდოს მიწები... ჩვენი გლეხობისთვის სასარგებლო იქნებოდა საგლეხო ბანკის დაარსება და ამ ბანკის შემწეობით ადგილობრივ საგლეხო მიწათ-მფლობელობის გაფართოვება. მაგრამ ეს საშუალებაც ჯერ-ჯერობით უარყოფილია იმავე «პოლიტიკის» გავლენით. ხაზინას ეკუთვნის ჩვენში დიდძალი მამულები, რომლებიც წინედ ქართველ მეფეებსა და ეკკლესიას ეკუთვნოდა. შეიძლებოდა ეს მიწები დაუბრკოლებლად მიეღოთ ჩვენს გლეხებს დასასახლებლად. მაგრამ ამასაც შეუძლებლად ხდის „გარუსების პოლიტიკა“. ნაწილი იმ ფულისა, რომელიც სხვადასხვა გადასახადთა სახით ჩვენგან ეძლევა ხაზინას, იხარჯება შიდა გუბერნიებიდან გლეხების მოსაწვევად და აქ მათი მეურნეობის მოსაწყობად.

და ნუ თუ ამის შემდეგ ხალხი გასაკიცხია, თუ იგი საზოგადოდ უნდობლად ეპყრობა მთავრობის სხვადასხვა განკარგულებას და პოლიციურ ღონისძიებათაგან არ მოელის თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას? მკვიდრს, ადგილობრივ მცხოვრებს, რომელიც რამდენისამე ათასი წლის განმავლობაში ბინადრობს თავის წინაპართა სისხლით მორწყულ მიწაზე, გზა შეკრული აქვს და არ შეუძლიან იმით მაინც ისარგებლოს, რაც მისთვის ბუნებას და ისტორიას მიუცია.

დროა, ბოლო მოეღოს ამ საშინელ უსამართლობას და მეტი ყურადღება მიექცეს ქართველ ხალხის სრულიად კანონიერ საჭიროებასა და მოთხოვნილებას!

## აჭარა-ქობულეთი და გურია.

—

ამას წინად ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ აჭარა-ქობულეთშიც რაღაც მღელვარება და არეულობა დაიწყოო. რადგანაც აჭარა-ქობულეთს ჩვენი საზოგადოება ნაკლებად იცნობს, სხვადასხვა-ნაირად ხსნიდენ ამ ხმებს.

ზოგი ამბობდა, იქაც მოსალოდნელია ისეთივე ამბები, როგორც მოხდა ბაქოშიო. ზოგი კი ფიქრობდა, რომ შეიძლება იქითკენაც გადავიდა გურიის მოძრაობაო. ჩვენ ამ საქმეზე შევკრიბეთ ცნობები და ახლა დანამდვილებით შეგვიძლია შევატყობინოთ ჩვენს მკითხველებს, რომ პირველი ხმა, თითქოს იქაც მზადდებოდეს „ბაქოს ამბების გამეორება“, საზიზღარი ტყუილი და ცილის წამება გამოდგა.

იქ მართლაც დაწყებულა მოძრაობა, მაგრამ ეს მოძრაობა არის აღმოცენებული იმავე ნიადაგზე და იმავე აუტანელის შინაურ პირობების ზედგავლენით, როგორც ეს იყო და არის დღეს გურიაში.

ჩვენი მოწინავე საზოგადოება იმდენად ბრმა გამოდგა, რომ სრულებით ვერ შეამჩნია, როგორ გამოიღვიძა ხალხმა და უკეთესის, უფრო ადამიანური ცხოვრების პირობები მოითხოვა. როდესაც გურიაში ამ ოთხი წლის წინად დაიწყო მოძრაობა აგრარულ ნიადაგზე, ბევრს ვერც კი გამოერკვია, თუ რაში მდგომარეობდა ეს მოძრაობა, რა სურდა ხალხს, რას თხოულობდა ასე გაბედულად და დაჟინებით. არავინ არ მოინდომა თავის შეწუხება, რომ დაკვირვებით გამოეკვლია ყველაფერი ეს, შეეტყო ნამდვილი მიზეზები და საჭირო საშუალებაც ეხმარა ხალხის დასაწყნარებლად და საკეთილდღეოდ. სამწუხაროდ, ამის მაგივრად აჰყვნენ ზოგიერთების ხმა'ს და ეს მოძრაობა „ბუნტად“ მონათლეს. მიღებულ იქმნა სასტიკი ადმინისტრატიული ზომები, მთელი ქვეყანა გატყავდა, გაღარიბდა, მრავალი ხალხი დროებით თუ საუკუდამოდ გამოეთხოვა გურიას, წინანდელმა თავმომწონე და ამაყმა გურულმა, ფეხშიშველა და თავშიშველაც სიარული დაიწყეს, მათრახების გემოც ნახა, მაგრამ მაინც თავისას გაიძახოდა და არ ცხრებოდა. მთელი 4 წელიწადი ხალხი და ქვეყანა დიდს განსაცდელს და უბედურებას ეწეოდა, მაგრამ თავს მაინცა-და-მაინც არავინ იწუხებდა და ვერც კი გამოერკვიათ და შეეტყოთ, თუ რა უნდოდა ამ ხალხს, რომელიც ჭკუით, განათლებით, გონებით კავკასიაში ყველაზე უფრო წინ იდგა და ახლა კი თითქოს უფსკრულის წინ გაჩერებულიყო და უკან კი არ იხეოდა.

დიდის სიხარულით უნდა მივეგებოთ, რომ ახლა მაინც შეძლება მიეცა გურულებს, გულახდილად და პირდაპირ გამოსთქვან თავიანთი აზრი, შეატყობინონ მთავრობასაც და საზოგადოებას, რა აწუხებდა მათ და რას თხოულობდნენ. მკითხველებმა იციან, რომ ამ მიზნით ამჟამად მოგზაურობს გურიაში კავკასიაში ცნობილი ეკონომისტი ბ-ნი სულთან კრიმ-გირეი.

რა მდგომარეობაშიაც იყო გურია მოძრაობის მეორე წელიწადს, ესე იგი ამ ორი-სამი წლის წინად, იმავე მდგომარეობაშია ეხლა აჭარა-ქობულეთიც. ამათ შესახებ აღარ უნდა გამეორდეს ის შეცდომა, რაც გურულების შესახებ ჩავიდინეთ.

აგერ ოც-და-შვიდი წელიწადი სრულდება მას აქეთ, რაც 400 წლის განშორების შემდეგ ეს საუცხოვო კუთხე, ჩვენის ღვიძლი ძმებით დასახლებული, დაუბრუნდა ჩვენს ქვეყანას. რა გავაკეთეთ ჩვენ ამ ხანში, რომ ჩვენი დაბრუნებული ძმები უფრო დაგვეახლოვებინა ჩვენთან?!. რა შემწეობა მივეცით, რომ მათი ცხოვრება ახალ პირობებში და ახალ მთავრობის ხელში უკეთესად ყოფილიყო მოწყობილი ვინემ მათი წინანდელი ცხოვრება ოსმალთა ხელში? ჩვენ ხელიც კი არ გაგვინძრევია და არაფერში არ გამოგვიჩენია ჩვენი მოქმედება... არ იფიქროთ, რომ ჩვენი შემწეობა საჭირო არ იყო...

ხალხი ვერ შეეთვისა ახალს პირობებს. გაღარიბდა, გაღატაკდა. ბევრი მათგანი ოსმალეთში გადასახლდა. ვინც დარჩნენ, ისინიც უპატრონოდ არიან, უსწავლელნი, გაუნათლებელნი. მთელს აჭარა-ქობულეთში, რომელიც ტერიტორიით და მცხოვრებთა რიცხვით ევროპის ზოგიერთ მთელს სახელმწიფოს არ ჩამოუვარდება, არის მხოლოდ ერთი პირველ-დაწყებითი სკოლა, სადაც 40-მდე მოწაფე თუ იქნება. ცხადია, რომ ასე ცხოვრება შემდეგ შეუძლებელია. თვით ხალხმა მიიღო თავის თავზე მზრუნველობა და სურს, თავის თავს პატრონობა გაუწიოს.

ჩვენი ვალდებულება, შემწეობა ამაში მაინც გავუწიოთ აჭარელ-ქობულეთლებს, რომ დანამდვილებით გამოვარკვიოთ ის აუტანელი პირობები, რომელმაც იქაც გამოიწვია მოძრაობა. როგორც გურიაში წავიდა საქმის გამოსარკვევად საზოგადოების თხოვნით და უმაღლესი მთავრობის მინდობილობით ბ. სულთან კრიმ-გირეი, ისე აჭარაშიც უნდა გაემგზავროს იგივე პირი, ან სხვა ვინმე სანდო კაცი.

როდესაც გამოირკვევა ხალხის საერთო სურვილი და შეგნებული მისწრაფება თავის ცხოვრების რომელიმე მხარეების გაუმჯობესების შესახებ, ეს კანონიერი სურვილები უსათუოდ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის დაწყნარება და დაკმაყოფილება შეუძლებელია.

ფრიდონ.

## დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

22 თებერვალი.

**ლონდონი,** 21 თებ. ბოლგარელ მთავარს დილის პატივისცემით შეეგებნენ დუვრში. აქ დახვდა უელსის პრ ი, გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწე პერსი, ოსმალეთის ელჩი, სოფიაში მყოფი ინგლისის წარმომადგენელი და ბოლგარეთის სააგენტო. მთავარი გაემართა ბუკინგემის სასახლისაკენ; ისადილა მან მეფესთან და დედოფალთან და მათთან ერთად წავიდა ახალ თეატრში. აქედან წავა პარისკენ.

**სტოკჰოლმი,** 22 თებ. კრონ-პრინცმა რეგენტმა მიანდო მიხელსონს ახალ-სამინისტროს შედგენა.

**პეტერბურგი,** 22 თებ. ბირჟაზე უსიცოცხლობაა. ახალი სესხის ფასი 95 და სამი მეოთხედი. 4% რენტი 89 და ნახევარი. პირველი სესხისა 395, მეორე სესხის—316, მესამის 291 და სამი მეოთხედი.

**სტამბოლი,** 23 თებ. ავსტრიის და რუსეთის საფინანსო პროექტზე ოსმალეთმა თავისი კონტრ პროექტი წარადგინა.

**ბელგრადი,** 21 თებ. ჩენადოვიჩის ვენაში მოულოდნელ წასვლის გამო ფიქრობენ, ალბად მალე სამინისტრო დაანებებს თავს სამსახურს, ბალუგჟიჩის საქმის გამო და რომ ახალ სამინისტროს შედგენა მიანდობა ვენაში მყოფ სერბიის ელჩს ვუიჩს.

**რომი,** 21 თებ. გაზეთები იუწყებიან, რომ კაბინეტის მოწვევა მიენდო ფორტისს. გარეშე საქმეთა მინისტრად დარჩება ტიტტონი. „ტრიბუნას“ სიტყვით მინისტრობის უმეტესი ნაწილი ისევ სამსახურში დარჩება. გარეშე პოლიტიკაში არ იქნება არავითარი ცვლილება.

**ვაშინგტონი,** 22 თებ. რუზველტმა მისწერა სენატს, რომ აუცილებლად საჭიროა დამტკიცდეს სან-დომინგოსთან ხელშეკრულობა, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ამ რესპუბლიკის ამერიკელ და ევროპელ მესესხებლებს. მინისტრებად უწინდელ კაბინეტის წევრები, ფორტელიანს გარდა, რომელიც უწინ ვაჭრობის მინისტრი იყო და ეხლა ფოსტა-ტელეგრაფის უფროსად დაინიშნა. რომში მყოფი ამერიკის ელჩი მეიერი გადაიყვანეს პეტერბურგში მაკარმიკის მაგიერად, რომელიც გადაიყვანეს პარიზში.

**ქრისტიანია,** 22 თებ. სტორტინგის კომისიამ გადაწყვიტა, რომ ამ სესსიაში უნდა იყოს გამოცემული კანონი ნორვეგიისთვის ცალკე საკონსულოს მოწყობის შესახებ. ამას თუ გადასწყვეტს სტორტინგი, იმ შემთხვევაში მოისპობა შვეციასთან არსებული საერთო საკონსულოები.

**ვარშავა,** 21 თებ. ყველა ქარხნებში ჩვეულებრივად მიდის მუშაობა. მთავარ ეპისკოპოსმა პოპელმა ბრძანა, გუშინ წირვის შემდეგ წაეკითხათ მისი მოწოდება და თხოვნა, ყველა დამშვიდებულიყო და დაეწყო უწინდელივით შრომა.

**ბელოსტოკი,** 22 თებ. შესდგა ნოქართა კრება. თხოულობენ მდგომარეობის გაუმჯობესებას, აირჩიეს კომისია პატრონებთან მოლაპარაკების გასამართავად.

**ბერლინი,** 22 თებ. შაბათს გაიხსნება გერმანელ სტუდენტთა წარმომადგენლების კრება, რომელმაც უნდა განიხილოს წინადადება მუდმივ კავშირის მოწყობისა და საუნივერსიტეტო თავისუფლების დაცვის შესახებ.

**ბაქო,** 22 თებ. მასწავლებელთა და მშობელთა კრებაზე გადაწყვიტეს დაიწყონ სწავლა დღეს ან 1 მარტს მაინც.

**ტვერი,** 22 თებ. ვოლგიდან ამოიღეს ტვერის საფოსტო კანტორის წერილები,—ერთი დიდი შეკვრა უფოსტოდ. კანტორაში იანვრის პირველ-ნახევარშია მიღებული. გამოძიება სწარმოებს.

**პარიზი,** 22 თებ. კონსტანი პარიზშია და სტამბოლს ჩქარა დაბრუნდება. მაკედონიის შესახებ ლაპარაკის დროს კონსტანმა განაცხადა,—არა მგონია, რომ ოსმალეთმა მომავალ გაზაფხულზე ომი დაიწყოს, რადგანაც ომისთვის მომზადებული არ არის.

**ვენა,** 22 თებ. უნგრეთშა ისე აწეწილ-დაწეწილია საქმეები, რომ საძნელოა მისი მოწყობა-დალაგება; უნგრელთა ოპოზიციასთან მთავრობის შეთანხმება ჯერ შორსაა.

**სოფია,** 22 თებ. ხმებია, მთავარი ფერდინანდი ლონდონიდან რომში წავა და იტალიის მეფესაც ინახულებსო.

**რომი,** 22 თებ. სამინისტროს შედგენა მიენდო პალატის ვიცე-პრეზიდენტს ფორტისს. წინანდელ სამინისტროს წევრთა უმეტესობა ტიტონითურთ დარჩება თავის ადგილზე. ოფიციალურ გაზეთ „ტრიბუნა“-ში დაბეჭდილია წერილი, რომელმაც საერთო ყურადღება მიიქცია; ამ წერილში ნათქვამია, სასარგებლოა და საჭირო, რომ რუსეთი და იტალია უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთსაო.

**სტამბოლი,** 21 თებ. რათა გააფრთხილოს ავსტრიის მიერ მაკედონიისათვის შედგენილი ფინანსიური პროექტი და გაჰხადოს იგი უფრო მიანდოს ოტომანის ბანკს, შეიმუშაოს ამ ის პროექტის საწინააღმდეგო პროექტი, რომლის პროექტს უცხო სახელმწიფოთა ელჩები არ იღებენ.

**პეტერბურგი.** 22 თებერვალს მინისტრთა კომიტეტს მსჯელობა ჰქონდა რუსეთის არა-მართმადიდებელ სარწმუნოების ქრისტეანთა შესახებ დებულებაზე. ითათბირეს სხვა სარწმუნოების ეკკლესიათა აგებისა, სარწმუნოებრივ ძმობათა წეს-რიგისა და შემდეგში პოლონეთის სამეფოს გუბერნიებში კათოლიკეთა მონასტრების არსებობის შესახებ აწ არსებულ დებულებათა შეცვლის თაობაზე. შემდეგ კომიტეტი შეჩერდა საზოგადო საგანზე, რომელიც სასწავლებლებში უცხო სარწმუნოების აღმსარებელთა დედაენაზე საღმრთო სჯულის სწავლებას შეეხება.

23 თებერვალი.

**ერევანი,** 22 თებ. 20-სა და 21 თებერვალს შეიარაღებული სომხები და თათრები ერთმანეთს თავს დაეცნენ. მოკლულ-დაჭრილია 40-მდე კაცი. საქმე უფრო აღარ გამწვავებულა, რადგანაც გუბერნატორმა და მეციხოვნე ჯარის უფროსმა ენერგია და მოხერხებული ტაქტი გამოიჩინეს. დღეს ხსენებულ კაცთა, სომეხ-მაჰმადიანთა სამღვდელოებისა და ადგილობრივ ინტელიგენციის მეოხებით აღელვებული ბრბოები შეარიგეს. იმედი აქვთ, რომ შემდეგში აღარ დაარღვევენ წეს-რიგს.

**ნიუ-იორკი,** 22 თებ. რადგანაც რუსეთ-იაპონიის ომმა ხიშტების დიდი მნიშვნელობა დაამტკიცა, შეერთებულ შტატების სამხედრო მთავრობამ გადაწყვიტა გამოსცადოს ახალის ტიპის ხიშტები, რადგანაც ეხლანდელი ხიშტები იმდენად გამოსადეგი აღარაა. კროზერი წინადადებას აძლევს, რომ ხიშტები შემოღებულ იქმნას დანის მზგავსი ან სამკუთხიანი.

**ბერლინი,** 22 თებ. გაზეთების ცნობათა წინააღმდეგ იუწყებიან, რომ რუსეთმა ჰამბურგში გემების ყიდვას თვითონ დაანება თავი, გერმანიის მთავრობა სრულად არ ჩარეულა ამ საქმეშიო.

რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ ერთხმად უარჰყო მთავრობის შუამდგომლობა ფულის გადადების შესახებ კავალერიის გასაძლიერებლად, მაგრამ დასთანხმდა რომ ქვეითა არტილერიას მოუმატოს კიდევ ორი ბატალიონი.

# რუსეთ-იაპონიის ომი

## დეპეშები

22 თებერვალი.

**მუკდენი,** 21 თებ. დაწყებული ამ დილას საარტილერიო ბრძოლა მუკდენთან მაძიაპუდან ნიუნსიტუნამდე საღამომდის არ შეწყვეტილა. იქაურობა მოფენილი იყო ყუმბარებით და შრაპნელით. სროლა მოისმოდა მუკდენში და ამ ქალაქზე ოთხ ვერსის მანძილზე სროლის განუწყვეტელი გრიალი მოდიოდა. ბატარეები ისვრიან ცალ-ცალკე და ერთად. შიმოზები ეფინებიან მთელ მიდამოებს. ჩვენი ბატარეების ადგილს ეძებენ. ყველაზე უფრო ძლიერია ზარბაზნების სროლა სოფ. იასნიტუნთან. სოფელი იწვის. დღეს ეს სოფელი ერთის ხელიდან მეორეს ხელში გადადიოდა. სხვაგან კიდევ მხოლოდ საარტილერიო ბრძოლაა. თითქმის ყველა დაჭრილს აქვს მოხვედრილი შრაპნელის ტყვია. ზოგან დახროვილია ცხენების გვამები. ეს ბრძოლა, როგორც ეტყობა, წარმოადგენს მხოლოდ საარტილერიო მომზადებას მომავალ ბრძოლისთვის. ცენტრში და მარცხენა ფრთეზე ღამის იერიშები მოვიგერეთ. განსაკუთრებულის მხნეობით მოჰქონდათ იაპონელებს იერიშები იმ პოზიციებზე, რომელიც მდებარეობს რკინის გზის აღმოსავლეთით კონდოლისანთან და რენენკამპფის ჯართან. გოუტულინის ულელტეხილთან დარჩა თითქმის 2000 მოკლული იაპონელი.

**გენერალ ოკუს ბანაკი,** 20 თებ. რუსებს ცენტრზე იერიში არ შეუწყვეტიათ. წუხელის იაპონელებმა რკინის გზის გაყოლებით წინ წაიწიეს ერთი მილით და ხელთ-იგდეს რამოდენიმე ზარბაზანი და ტყვიის მფრქვეველი. რუსებმა უკან დახევა დაიწყეს. რუსებს დააკლდებოდათ 3000 კაცამდის. იაპონელები მიეშურებიან აღმოსავლეთისკენ,—მათ ხელთ იგდეს ამშინპუ რკინის გზის მახლობლად მუკდენიდან 12 მილის მანძილზე სამხრეთით. 19 თებერვალს იაპონელები მთელი დღის განმავლობაში აწვებოდნენ რუსების ჯარს. რუსებს დააკლდებოდათ ათას კაცამდე. ჩანტანი, კუდიაძი, ერტაიძი 17 თებერვალს ხელთ იგდეს იაპონელებმა. იერიში დაიწყო 16 თებერვალს.

**ლონდონი,** 21 თებ. იაპონიის საელჩომ გამოაცხადა ტოკიოდან მოსული დეპეშა: «რუსები მაგარ წინააღმდეგობას გვიწევენ. დილას 20 თებერვალს იაპონელებმა დაიჭირეს გორაკი პენსიულუჰოს ჩრდილოეთით, ვანტუშანიდან ოთხი მილის მანძილზე აღმოსავლეთით. 19 თებერვალს ხანსუნგ-მუპაოძისთან იაპონელებმა დაიჭირეს რუსების პირველი პოზიციები. 20 თებერვალს იაპონელებმა ხელთ იგდეს რუსების სიმაგრე რკინის გზის აღმოსავლეთით. რკინის გზის დასავლეთით აღებულია ლინჩანტუნგი, ვაპაოშანის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ 21 თებერვალს იაპონელებმა აიღეს ხანჩენის ულელტეხილი და ხოიოსუჩიპაო და დასწვეს რკინის გზის სადგური ჩაჩაგუნი.

**ვაშინგტონი,** 21 თებ. ინგლისის გემს „ვარლეილს", რომელიც მიდიოდა ვლადივოსტოკისაკენ, დაერთო ნება დარჩენილიყო მანილის ნავთსადგურში. იაპონიის გემები ნავთსადგურის შესავალს სდარაჯობენ. საფიქრებელია, რომ ამ გემს მისცემენ ნებას აქ დარჩეს ომის დასრულებამდის, როგორც ადრე ასეთივე ნებართვა მისცეს გემს „ლენას".

**პორტ-საიდი,** 21 თებ. გემ „ცესარევიჩით" წავიდა ოდესისაკენ 15 პორტ-არტურელი.

**ტოკიო,** 22 თებ. რუსებმა თავი მოუყარეს თავიანთ ჯარს ფუშუნის დასაცველად. ჯერ არ იციან უკან დაიხევს კუროპატკინი თუ ეცდება ამ პოზიციების შერჩენას.

**ნიუ-ჩუანი,** 22 თებ. აქ ჩამოსული ვაჭრები ამბობენ, რომ 30,000 იაპონელმა დაიჭირა წუხელის გამაგრებული პოზიციები მუკდენის დასავლეთ კარებიდან 5 მილის მანძილზე. დილამდის არ შეწყვეტილა ხელ-ჩართული ბრძოლა, რომელშიაც ვერ გაიმარჯვა ვერც ერთმა მხარემ. ათასი რუსი მოჰყვება ლიაოხეს აღმოსავლეთ მხარეს იმ მიზნით, რომ ზურგიდან მოექცეს იაპონელების ჯარს; უეჭველია, რომ ბრძოლა ძობდება აქედან 13 მილის სიშორეზე სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. დღეს იაპონელებმა დაიჭირეს სატელეგრაფო სადგური სინმინტინი, ძალით შემოიღეს დროებითი ცენზურა და ყურადღება არ მიაქციეს ჩინელ მოხელეების პროტესტს. იაპონელების სამხრეთის ფრთე მუკდენთან 17 მილის სიშორეზეა და თანდათან წინ იწევს. ეხლა ლიაოხეზე დიდი სროლაა იტეხილი. ფიქრობენ, რომ რუსები ცდილობენ გარს შემოუარონ იაპონელების ფრთეს.

**ბერლინი,** 22 თებ. პოლკოვნიკი გედკე ამბობს „ბერლინერ ტაგებლატში", რომ იაპონელებიც ისევე იყვნენ მომწყვდეულნი ხუნხეს და შახეს შუა, როგორც ეხლა კუროპატკინი, მაგრამ გამარჯვებულნი გამოვიდნენ. შეიძლება ეხლანდელმა მდგომარეობამ გაათრკეცოს რუსების მხნეობა,—იაპონელები კი რიცხვით ნაკლები არიან და ომით დაღლილნი.

**პარიზი,** 22 თებ. მუკდენში მყოფი „ჟურნალის" კორესპოდენტი იუწყება დეპეშით, რომ რუსებმა მოიგერეს იერიშები სუნტონზე და მარცხენა ფრთეზე. მარჯვენა ფრთეზე ჯერ არ არის გამორკვეული მდგომარეობა. ლინევიჩმა 21 თებ. მოიგერა კუროკის 13 იერიში. იაპონელების ზარალი 40,000 კაცზე მეტია. პრინცი ხაიმე ბურბონელი დაბრუნდა.

**ტოკიო.** აქ ძლიერ კმაყოფილნი არიან ჩილისა და არგენტინის ოფიციალურ განცხადებით, რომ ომიანობის დროს არც ერთ მეომარ სახელმწიფოსთვის და არც სხვა რომელისამე სახელმწიფოსთვის არ მიგვიყიდნია და არც მივყიდით არც ერთ სამხედრო გემსაო. მესამე სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ შეიძლება მიეყიდოთ სამხედრო გემი, თუ განსაკუთრებულ პირობას დაგვიდებს, რომ სასტიკად დაცულ იქმნება ნეიტრალიტეტი. ბრძოლის ველიდგან, როგორც ყოველთვის, იაპონელთათვის სასიხარულო ცნობები მოდის. იაპონელთა ჯარების მარცხენა და მარჯვენა ფრთე მედგრად ეკვეთა რუსებს და განდევნა თავიანთ ადგილებიდგან. ის ადგილი, სადაც ახლა ბრძოლა სწარმოებს, ნახევარ რკალს წარმოადგენს და თითქმის გარშემორტყმულია მუკდენსა და ფუშუნზედ. სამხედრო მოქმედებანი ისეთს უშველებელს მიდამოებზეა გაშლილი, რომ ბრძოლის დასასრულს უნდა მოველოდეთ მხოლოდ საკმაო დიდის ხნის შემდეგ.

**ჰონგკონგი.** იაპონელთა სამი კრეისერი, ერთი დამხმარე კრეისერი და ორი სანაზმირე გემი ნაშუადღევს გამოჩნდა აქ და გაემართა სამხრეთისკენ. 18 თებერვალს 22 სამხედრო და ნახშირის მტვირთველი გემი გაემართა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

**სინმინტინი,** 21 თებ. მუკდენიდან სამხრეთად, 6 მილის მანძილზედ, გაფთრებული ბრძოლაა. იაპონელებმა დაანგრიეს ორი სოფელი. ადგილობრივნი მცხოვრებნი უთავშესაფროდ დარჩნენ. მუკდენის გზა ისევ დაჭერილია. რუსების ჯარი ისეა საბრძოლველად გამწკრივებული, თითქოს სცდილობს ხელი შეუშალოს იაპონელთა გარშემოვლას მარჯვენა ფრთეზედ. იაპონელთა ჯარის კაცები თანდათან იჭერენ აქაურ ტელეგრაფის კანტორებს. ალბად, ჩქარა დააწესებენ ცენზურას, თუმცა სინმინტინის დაპყრობა ოფიციალურად ჯერ არაა გამოცხადებული.

**შანჰაი.** ჩინელთა ცნობის თანახმად, იაპონელთა ძლიერმა რაზმმა მიაღწია მუკდენის ჩრდილოეთად მდებარე ერთ ადგილამდე იმ აზრით, რომ რუსებს მოუჭრან უკან დასახევი გზა. სინმინტინიდან მიღებულ დეპეშის თანახმად, მუკდენთან მისვლა-მოსვლა მოწყვეტილია.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდ. დეპეშები კუროპატკინისა ხელმწიფისადმი: 1) 20 თებერვლის თარიღით: „დღეს მტერმა შემოგვიტია ჯარის შუაგულზე წინიდან, მდინარე ხუნხეს მარჯვენა ნაპირზედ, სოფ. ხანდიაპუს ჩრდილოეთით სოფ. ნიუსინტუნამდე. ყველა იერიში უკუ-ვაქციეთ. ჩვენის მარცხენა ფრთედის რაზმმა შეუტია მტერს სოფ. ნიუსინტუნთან ჩრდილოეთად და დაიჭირა ეს სოფელი მცირე ბრძოლის შემდეგ. დაიჭირა აგრეთვე რამდენიმე სოფელი ჩრდილოეთად სოფ. ნიუსინტუნისაკენ. ხუნხეს მარცხენა ნაპირზედ მტერმა თავგანწირულის იერიშით შემოგვიტია სოფ. ელთხაიზასთან, მადიაპუს სამხრეთად ორ ვერსზედ, მაგრამ საღამოს 7 საათზედ მტრის შვიდი იერიში უკუ-ვაქციეთ. გაფთრებული იერიში მოიტანა მტერმა ჩვენზედ სახეპუს რაიონში, მაგრამ უკუ-ვაქციეთ. პუტილოვის გორაკის (ხიანი გორაკი) რაიონში ჩვენმა ჯარებმა, კონტრიერიშების შემდეგ, კერძოდ, უგეგმოდ შეუტია მტერს და ტყვედ წამოიყვანა ასამდე იაპონელი. ერდაგოუს რაიონში სატევი ომი არა ყოფილა. ჩვენის მარცხენა ფრთედის პოზიციებზე, კანდოლისანის რაიონში, რამდენჯერმე იერიშით მოვიდნენ იაპონელნი, მაგრამ უკუ-ვაქციეთ. დაიჭრა პოლკოვნიკი რუმშევიჩი. დღეს შევნიშნეთ, რომ მტრის ჯართა ნაწილი სამხრეთისაკენ მიემართებოდა, ჩვენის ჯარის მარცხენა ფრთედის პოზიციებზედ გოუტულინის ულელტეხილთან. ჩვენი თავგამოდებული რაზმი მივიდა სოფ. შუნცუიძისა და ჩანხიზაისთან. ჩანხიზაი იაპონელებს ეჭირათ, მაგრამ თავ-გამოდებულებმა განდევნეს იქიდან. სოფ. უბენეპუზასთან მტრის ძლიერი რაზმი იყო ჩასაფრებული, მაგრამ არტილერია დაუშინეს აქეთ-იქიდან და იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა წინანდელი პოზიციები. მარჯვენა ფრთეზედ, სოფ. კუდიაზასთანაც უკუ-აქციეს მტრის იერიში. დღეს ჩვენმა ჯარებმა შესამჩნევად წაიწიეს წინ და ბრძოლით დაიჭირეს გარშემორტყმულ მიდამოსთან თვალსაჩინო მაღლობი". 2) 21 თებერვლის თარიღით: „ცენტრის ჯარში ღამემ წყნარად განვლო. ჩვენი მარჯვენა ფრთედი მუკდენის დასავლეთად დღეს განაგრძობდა წინსვლას უსახელო სოფელს იქით ერთ ნახევარ ვერსზედ, სოფ. გუანტუნის სამხრეთად, მაგრამ დაუშინეს არტილერია და თოფები, რის გამოც 200 ნაბიჯზედ დააწვენეს უკან. საღამოს 11 საათზედ უკუ-ქცეულ იქმნა მეათე იერიში. ერდაგოუს რაიონის პოზიციებიდან გუშინ დაგვეხმარა არტილერია პუტილოვის გორაკზედ მოტანილ იერიშის უკუგდების დროს. წუხელ 12 საათზედ იაპონელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს მთელის შუბლის პოზიციებზედ კანდოლისანის რაიონში, მაგრამ ნაშუადამევის 3 საათზედ ყველა იერიში სრულიად უკუ-ვაქციეთ. გოუტულინის პოზიციაზედ მტერს იერიში არ მოუტანია. ამ პოზიციის ცენტრის წინ იაპონელებმა მიატოვეს მოკლული 30 აფიცერი და 2,000 ჯარის კაცი. რამდენიმე ჩვენ დავუმარხეთ კიდეც. ასე შუაღამის 12 საათზედ იაპონელებმა მეტად ძლიერად მომზადეს არტილერია და ხელახლა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზედ სოფ. უბენეპუზასთან. ტომაგუშანთან ჩვენმა რაზმმა უკუ-აქცია რამდენიმე იერიში მტრისა დიდის ზარალით. ჩვენმა მცირე რაზმმა განაპირა მარცხენა ფრთეზედ, ესაულის თავ. დოლგორუკოვის უფროსობით, გუშინ ბრძოლა აუტეხა მტერს და დაიჭირა კუდიაზის აღმოსავლეთად 10 ვერსზედ ულელტეხილი. იაპონის ესკადრონი და ნახევარი როტა აირია, უკან დაიწია და დასტოვა თავიანთი მოკლულები და იარაღი".

**პარიზი,** 21 თებ. დიპლომატების აზრით, შესაძლოა ჩქარა მოწვეულ იქმნას პარიჟში კონგრესი, რომ როგორმე შეამცირონ იაპონიის მადა. ამბობენ, ვითომ დიდმა სახელმწიფოებმა,—ასე გასინჯეთ, ინგლისმაც-კი—პრინციპიალურად გამოსთქვეს თანხმობა კონგრესის მოწვევაზეო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ომის ამბები.** იაპონელთა ორივე ფრთე თანდათან წინ მიიწევს. ოკუს მარჯვენა ფრთე ლინშინპუდან წინ მიდის. 20 თებერვალს იაპონელებმა რკინის გზის სადგურს საჩატუნს ზარბაზანი დაუშინეს და ცეცხლი წაუკიდეს. ამავე დღეს იაპონელებმა იერიშით აიღეს სოფელი ლინჩანტუნგი რკინის გზის დასავლეთით, ვაპაოშანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. 21 თებერვალს იერიშითვე აიღეს ხანჩენის (ხუანჩენის) ქედი, რომელიც ფინლიაპუდან მუკდენში მიმავალ გზას იცავს, და გამაგრებული სოფელი ხაიოსუჩიპაო (იქვე უნდა იყოს).

19 თებერვალს ოკუს მარჯვენა ფრთეს წინ წაუწევია და რკინის გზასთან რუსებისთვის რამდენიმე გაუბიცა (საველე ზარბაზანი) და ტყვიის მფრქვეველი წაურთმევია. რუსებმა უკან დახევა დაიწყეს. ოკუს ჯარი ისევ წინ გაემართა, მერე მარჯვნივ (აღმოსავლეთისაკენ) გადაუხვია და აიღო რკინის გზის სადგური ანშინპუ, რომელიც მუკდენიდან 12 მილის მანძილზეა დაშორებული.

ტოკიოდან იუწყებიან, კუროპატკინი თავის ჯარს ფუშუნთან უყრის თავსაო. თუ ეს მართალია, მაშასადამე, კუროპატკინს მუკდენის დაცვის იმედი გადაუწყვეტია და ეხლა მხოლოდ უკან დასახევ გზის დაცვას ცდილობს.

სინმინტინიდან იუწყებიან, მუკდენის სამხრეთით 6 მილის მანძილზე გაცხარებული ბრძოლააო.

იქიდანვე იუწყებიან: იაპონელთა ერთი რაზმი ჩრდილოეთისაკენ გაემართა და უნდა მუკდენს ზევიდან მოუჭრას გზაო.

სინმინტინიდან შანხაიში ცნობა მოუვიდათ, რუსებს რკინის გზა მოუჭრესო.

იაპონელები ამბობენ (მუკდენთან), ეხლანდელ ბრძოლის დროს რუსებისა და იაპონელების ჯარი ისეთ დიდ მანძილზეა გაჭიმული (120 ვერსზე), რომ ბრძოლის საბოლოო ბედი მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გამოირკვევაო.

მუკდენიდან „ბირ. ვედ."-ს დეპეშით ატყობინებენ: ამ ორ დღეში რუსეთის ჯარმა (გენ. რენენკამფის რაზმმა) 30 ვერსით დაიწია უკან. ძლიერ გამაგრებული პოზიციები—სანლუნუ, ცინხენჩენი და დალინის ქედი იაპონელებმა იერიშებით აიღეს. ამ ბრძოლების დროს იაპონელთა შრაპნელებმა და ტყვიის მფრქვევლებმა ბევრი ხალხი დაგვიხოცეს. იაპონელების სიმამაცეს ყველას აკვირვებს: იაპონელები ფეხთ იხდიან, ამ ყინვაში მარტო მუნდირს იცვამენ, კლდეებზე კატებივით მოცოცავენ და არც ყუმბარებსა და არც ტყვიას აქცევენ ყურადღებას. პოზიციებზე იაპონელები ხშირად უყვირიან ხოლმე რუსებს: „გვეფრთხილდით, რუსებო! სხვა ვინმე კი ნუ გგონივართ; ჩვენ პორტ-არტურის ამღებლები ვართ და იცოდეთ, რომ, რა ხეირიც თქვენს ამხანაგებს დავაყარეთ პორტ-არტურში, იმასაც თქვენ დაგაყრით". (რ. ვ.)

„რუს. სლოვოს" კორესპონდენტი გარინი დეპეშით იუწყება: ბრძოლა გახურდა, მაგრამ აფიცრების უმეტესობა ამბობს, ეს მხოლოდ დაზვერვა და კერძო თარეშია, ნამდვილი ბრძოლა კი აპრილზე ადრე არ მოხდებაო. უმცირესობა კი ამბობს, ომის ბედი ამ დღეებში გადაწყდებაო. ვერაფერი წინასწარმეტყველები ყოფილან რუსეთის ჯარის უფროსები.

იგივე კორესპონდენტი იუწყება: ჩვენი აფიცრები ჩივიან, ელექტრონის პროჟექტორები არა გვაქვსო. იაპონელებს კი ბევრი პროჟექტორი აქვთ და, მართალი უნდა თქვას კაცმა, ძალიან მოხერხებულადაც ხმარობენ ამ პროჟექტორებს. იაპონელები შეამჩნევენ თუ არა რუსების მოძრაობას, მაშინვე იქაურობას პროჟექტორებით გაანათებენ და ყუმბარებით სულ მტვერს აადენენ ხოლმე.

იმავე გაზეთის მეორე კორესპონდენტი,—ლოდიჟენსკი დეპეშით იუწყება: პუტილოვის გორა სულ ბოლსა და ცეცხლშია გახვეული. პოზიციებზე თხრილები გაჟღენთილია შიმოზის ბოლით, რომელიც კაცს სუნთქვას უხშობს.

**ჯარის დაგვიანება.** „ტაიმს"-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: შორეულ აღმოსავლეთში ჯარის გაგზავნა ძალიან შეფერხდა. მსროლელთა მე-4 ბრიგადა, რომელიც ოდესიდან ორი თვის წინად წავიდა, ეხლა ომსკთან იმყოფება. გზაში იმყოფება და ბრძოლის ველზე ჯერაც არ ჩასულა მე-4 კორპუსი, რომელიც თვენახევრის წინად მინსკიდან წავიდა. მსროლელთა მე-3 ბრიგადა, რომელიც მარშან შესდგა, მხოლოდ ეხლა მიდის კიევიდან. ის ჯარი, რომელმაც ბრძოლის ველზე წასვლის ბრძანება მიიღო, უმეტეს ნაწილად კავკასიის მეცხოვრენთაგან შესდგება. თუმცა კავკასიაში საქმე ცუდად არის, მაგრამ იქიდან მაინც წავლენ კავკასიისა და ერევნის ცხენოსანთა დივიზიები და სხ. კავკასიიდან სულ წავა 18,000 ქვეითი, 7,000 ცხენოსანი და 48 ზარბაზანი. ეს ჯარი ბრძოლის ველზე აპრილზე ადრე ვერ ჩავა. («რ. ვ.»)

# ფელეტონი

## ინგლისში.

—

ინგლისელებს გატაცებით უყვართ თავიანთი მეფე იმიტომ, რომ ინგლისში მეფე მხოლოდ მეფობს და სახელმწიფო საქმეების მართვა და გამგეობაში არ იღებს არავითარ მონაწილეობას.

ხალხი მეფეს ერგულებას უცხადებს, ყოველწლიურ ჯამაგირს აძლევს,—სამაგიეროდ მეფემ წარმომადგენლობა უნდა გაუწიოს ინგლისს შინ და გარედაც.

დედოფალი ვიქტორია მოხუცებულობის დროს ერთ ხანს არ გამოდიოდა გარედ და არ სჩანდა ოფიციალურ დღესასწაულებზე და ინგლისის გაზეთებში თანდათან უფრო ხშირი შეიქმნა საყვედურები: „ფულს ვიხდით და დედოფალი კი თავის პირდაპირ მოვალეობას არ ასრულებსო".

სახელით მეფე მთავრობის სათავეში სდგას, მაგრამ მთავრობის, მინისტრების მოქმედებაში არავითარ პასუხს არ აგებს—პასუხისმგებელნი თვითონ მინისტრები არიან. ამიტომ სხვა ქვეყნებში მინისტრები თუ ემორჩილებიან მეფეებს, ინგლისში პირიქით თვით მეფე იქცევა ისე, როგორც ამას მოისურვებენ მისი მინისტრები, ან მინისტრების მოთავე,—პრემიერი.

ერთი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რა რიგად დამოკიდებულია ინგლისის მეფე მინისტრების სურვილზე.

ლიბერალი სამინისტრო 1839 წ. იძულებული შეიქმნა დაენებებინა თავი სამსახურისთვის. ახალი სამინისტროს მოწვევა მიენდო კონსერვატორს რობერტ პილლს. პილლიც დასთანხმდა, მინისტრებიც მოიწვია უკვე, მაგრამ უცებ შეიტყო, რომ დედოფალ ვიქტორიას, იმ დროს 19 წლის ყმაწვილ ქალს, ჰყავდა ორი კამერფრეილინი, რომელნიც ემხრობოდნენ თურმე ძველ სამინისტროს. რაკი ორივე ეს ქალი დედოფალთან დამეგობრებული იყო, თითქმის მუდამ ერთად ატარებდნენ დროს, ამიტომ პილლმა იფიქრა, შეიძლება მათმა გავლენამ დედოფალზე შემიშალოს ხელი სამინისტროში ყოფნის დროს და ორივესი დათხოვა მოითხოვა.

დედოფალმა უარი განაცხადა მეგობარ ქალების დათხოვნაზე და გამოაცხადა, რომ სამინისტროს აქვს უფლება მოსთხოვოს სამინისტროში მოსამსახურე პირების დათხოვნა, მის სასახლესთან და კერძო ცხოვრებასთან კი არავის არავითარი საქმე არა აქვს და არ შეუძლია მიბრძანოს რამეო.

ამ საქმემ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ინგლისში. ზოგიერთი, მართალია, აქებდა დედოფლის რაინდობას, მეგობრები არ გასწირაო, მაგრამ უმეტესობა ამტკიცებდა, რომ ხალხისათვის არაფერი მისაღებია მის მეფის კერძო შეხედულება და გრძნობები. მეფე ჩვენი ფულით არის, ჩვენი სურვილით მეფობს და ყოველთვის ხალხის სარგებლობას და ხალხის სურვილებს უნდა მიზდევდესო. ამიტომ მეფემ უნდა აასრულოს ყოველთვის მინისტრების რჩევაო, როდესაც მინისტრები რასმე მოითხოვენ ხალხის საკეთილდღეოდ.

დრო გადიოდა და ხალხის უკმაყოფილობაც მატულობდა თანდათან,—ამბობდნენ დედოფალმა ორ ქალის კაბას ანაცვალაო ხალხის კეთილდღეობა.

ბოლოს, ახალი არჩევნების დროს, ხალხმა დიდი ხმის უმეტესობით აირჩია წარმომადგენლებად პილლის მომხრეები.

დედოფალმაც ძალა-უნებურად დაითხოვა თავისი ერთგული მეგობარი ქალები, რომელნიც თან ჰყავდა ყოველთვის საწოლ ოთახში.

დედოფლის საწოლ ოთახშიაც ხალხი ბატონი შეიქმნა...

მეორედ მოუვიდა დედოფალ ვიქტორიას უთანხმოება მინისტრებთან ბურების ომის გამო. დედოფალი ამ ომის წინააღმდეგი იყო. სამოცი წლის განმავლობაში მეფობდა ვიქტორია ისე, რომ დაიმსახურა ხალხის სიყვარული და არ უნდოდა ეხლა დაეწყო ომი, რომელსაც ათასი სხვადასხვანაირი უსიამოვნება მოჰყვებოდა და შინაური განხეთქილებაც. მაგრამ აქაც ხალხის სურვილს დაემორჩილა მეფე,—დაივიწყა თავისი კერძო სურვილი და პარლამენტის გადაწყვეტილების თანახმად გამოაცხადა ომი.

ინგლისის კონსტიტუციის თანახმად, მეფე ზემო და ქვემო პალატებთან ერთად შეადგენს ინგლისის მთავრობას. კანონდებლობაში მეფე ამ პალატებთან ერთად იღებს მონაწილეობას. მეფე აყენებს, ან ამტკიცებს უმთავრეს მოხელეებს სახელმწიფოში. მეფე იწვევს და ითხოვს პარლამენტს, თავის მინისტრების პირით აძლევს პარლამენტს სხვადასხვა წინადადებას. ამას გარდა ორივე პალატისაგან გადაწყვეტილიც რომ იყოს რამე, ამ გადაწყვეტილებას არა აქვს სავალდებულო ძალა, მანამ მას არ დაამტკიცებს მეფე. ერთის სიტყვით, ყველგან და ყველაფერში მეფე, კანონის ძალით, იღებს მონაწილეობას, მაგრამ ცხოვრებამ სულ გამოცვალა კანონი.

ეხლა მეფე ინგლისში მხოლოდ მინისტრების სურვილს ასრულებს ხოლმე და ეს მინისტრები კი პალატაში უმეტესობის წარმომადგენელნი არიან და ამიტომ ხალხის უმეტესობის წარმომადგენელნიც.

მთელ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ერთი მაგალითიც არ იყო იმისი, რომ მეფეს არ დაემტკიცებინოს პალატის გადაწყვეტილება, და საქმით ინგლისში ნამდვილი გამგე და ბატონი პარლამენტია,—მეფე მხოლოდ სახელით არის მეფე. ინგლისის მეფე იგივე საფრანგეთის ან შვეიცარიის პრეზიდენტია, იმ განსხვავებით კი, რომ რესპუბლიკებში პრეზიდენტს იჩრევენ რამდენსამე წელიწადში ერთხელ, ინგლისში კი მეფის უფლება მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე, თუმცა აქაც ამ უფლების სათავე, საფუძველი, იგივე ხალხია.

ვილჰელმ ორანელი ხალხმა აიყვანა სამეფო ტახტზე. შემდეგ, როდესაც მეფე გიორგი III გაგიჟდა, პარლამენტი ასრულებდა მის მოვალეობას, და ეხლაც ინგლისის ოფიციალურ გამოცემებში სწერია, რომ „კონსტიტუციის ძალით, უმაღლესი საკანონმდებლო უფლება აქვს მინიჭებული პარლამენტს".

მაშ რაღა ყოფილა მეფე? მეფეა ინგლისის ერთობის გამომხატველი, მეფე ინგლისის ოფიციალური წარმომადგენელია საერთაშორისო საქმეებში.

ამ სამსახურისთვის ჯამაგირიც აქვს დანიშნული მეფის სახლობას.

ეხლანდელი ინგლისის მეფე ედუარდ მეშვიდე რომ ავიდა ტახტზე, ამნაირი წერილი მისწერა პარლამენტს: მის უდიდებულესობას სურს, რომ შესაფერად იყვნენ უზრუნველყოფილნი მისი ვაჟი და ქალები, სურს რომ იყოს აგრეთვე უზრუნველყოფილი მისი მეუღლეც მეფის სიკვდილის შემდეგ და ამიტომ მიაქცევს ამ გარემოებას თქვენს ყურადღებას და იმედი აქვს, რომ თქვენ აქაც გამოიჩენთ ჩვეულებრივ კეთილ-განწყობილებას და შესაფერ გადაწყვეტილებას დაადგებით ამ საქმის შესახებ.

ამნაირი თხოვნა ჯამაგირის შესახებ უნდა წარადგინოს პალატაში ყოველმა ახალმა მეფემ. პალატაც ამ თხოვნის მიღებისთანავე ირჩევს განსაკუთრებულ კომისიას ჯამაგირის რაოდენობის გამოსარკვევად. ამ კომისიაში, ჩვეულებისამებრ, იღებენ მონაწილეობას ყველა საპარლამენტო ჯგუფის წარმომადგენელნი იმისათვის, რომ ხალხის ყველა მიმართულების წარმომადგენელს ჰქონდეს ხმა სახელმწიფოს ხარჯების გადაწყვეტაში.

ედუარდ მეფის თხოვნის გასარჩევადაც აირჩიეს კომისია, რომელმაც წარადგინა პალატაში განსახილველად ორი მოხსენება,—ერთს აწერდა ხელს კომისიის უმეტესობა (14 პირი), მეორეს მხოლოდ ერთი ადამიანი,—ლაბუშერი, რომელიც საზოგადოდ მეფის უფლების წინააღმდეგია და ამბობს, რომ პალატისაგან არჩეულ მინისტრებს და მათ თავმჯდომარეს შეუძლიანთ ადვილად შეასრულონ ის საქმე, რომელსაც ეხლა ასრულებს მეფე და რომ ამნაირად დიდ ძალი ხარჯი მოაკლდება სახელმწიფოსო.

პალატამ, რასაკვირველია, უმეტესობისაგან წარდგენილი წინადადება მიიღო და თვით მეფე ედუარდ მეშვიდეს დაუნიშნა ჯამაგირად 470,000 გირვანქა სტერლინგი (გირვანქა სტერლინგი თითქმის 9 მან. 30 კაპ. არის).

ამასთანავე პალატამ განსაზღვრა, როგორ ან რაზე უნდა დახარჯოს მეფემ ეს ფული? მეფის და დედოფლის ჯიბის ფულად ან მათ კერძოდ სახარჯოდ არის გადადებული 110,000 გირვ. სტ., სასახლეების შენახვაზე—193,000 გირ. სტ., სასახლეების შეკეთებაზე—20,000 გირვ. სტ., სასახლეში მოსამსახურეებზე, კარის კაცებზე და მათ პენსიებზე 125,800 გირვ. სტ.; მეფეს და დედოფალს მოწყალების გასაცემად და შეწირულებისათვის ეძლევათ 13,200 კირვ. სტ. და სხვადასხვა მოულოდნელ ხარჯის გასასტუმრებლად კიდევ 8000 გირვ. სტ.

ამას გარდა პალატამ დაუნიშნა მეფის შვილებს 73,000 გირვ. სტ. და კიდევ თითქმის 70,000 გირვ. სტ. ეძლევა მეფის სხვადასხვა ნათესავს.

ამნაირად მეფეს და მის გვარეულობას აძლევს სახელმწიფო ყოველწლიურად სახარჯოდ 613,000 გირვ. სტერლ., ან თითქმის 6,000,000 მანათს.

მაგრამ, სამაგიეროდ, მეფის სახლობა აძლევს სახელმწიფოს მთელ თავის საკუთარ ადგილ-მამულის შემოსავალს. მეფეს და მის მახლობელ ნათესაობას აურაცხელი ტყეები ეკუთვნის, ბევრი შემოსავლიანი ადგილიც. მეფე გიორგი I-ის დროს (1714—1727 წწ.) ამ მამულების შემოსავალი აღემატებოდა 1,000,000 გირვ. სტერლ. და მიდიოდა თვით მეფის სასარგებლოდ. 1775 წელს კი მეფე გიორგი მესამემ მეფის საგვარეულო მამულების გამგეობა გადასცა სახელმწიფოს და შემოსავალიც მისცა ხაზინას. პალატამაც დაუნიშნა მას სამაგიეროდ ჯამაგირად 900,000 გირვ. სტერლ.

მაგრამ მალე ასეთი ჯამაგირი ნამეტანად ეჩვენა ხალხს და ამ მეფის შვილს, ვილჰელმ მეოთხეს, დაუნიშნეს მხოლოდ 510,000 გირვ. სტ. და დედოფალ ვიქტორიას ჰქონდა კიდევ ამაზე ნაკლებიც,—385,000 გირვ. სტ., ე. ი. თითქმის სამ მილიონ ნახევარი მანათი.

ვიქტორიას სიკვდილს შემდეგ ედუარდ მეშვიდეს ისევ მეტი გადუწყვიტეს—613,000 გირვ.

შეიძლება ეს ფულიც ზოგიერთს ნამეტანი ეგონოს, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს ადამიანმა, რომ სამგიეროდ ხაზინას შემოსდის დიდძალი ფული მეფის კერძო მამულებიდან.

ფინანსთა სამინისტროს გამოანგარიშებით ამ მამულებში შემოდის ყოველ წლიურად 580,000 გირვ. სტერლ. ეს ფული რომ გამოვაკლოთ მეფის ჯამაგირს, გამოვა რომ ინგლისის ხაზინას ნამდვილად ეხარჯება თავის ფულიდან მეფეზე მხოლოდ 33,000 გირ. სტერლ., ან თითქმის 300,000 მანათი,—დანარჩენი მისივე მამულების შემოსავალია.

სამასი ათასი მანათი მეფის ჯამაგირი!

მაგრამ ნამდვილად ზოგიერთი რამე ამასაც უნდა მოვაკლოთ.

ინგლისში შემოღებულია საყოველთაო გადასახადი შემოსავალზე.—ამ გადასახადს იხდის, როგორც ღარიბი, ისე მდიდარიც და ამასთანავე მდიდარი თითო მანათ შემოსავალზე მეტს იხდის, ვიდრე ღარიბი.

ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში მეფე თავისუფალია ყოველგვარ გადასახადიდან, ინგლისში კი მეფე იმდენად არის გათანასწორებული სახელმწიფოს დანარჩენ მცხოვრებლებთან, რომ სახელმწიფოსაგან მიღებულ ჯამაგირზე იხდის გადასახადს ისე, როგორც უკანასკნელი ინგლისელი, ისე რომ ზემოდ მოხსენებულ 300,000 მანათიდან კიდევ ერთი დიდი ნაწილი გადასახადის სახით უბრუნდება ხაზინას.

საზოგადოდ, რომ დავაკვირდეთ მეფის უფლებას და მეფის მდგომარეობას ინგლისში, უნდა აღვიაროთ, რომ იქ სიტყვა „მეფე"-ს თავისებური, განსხვავებული მნიშვნელობა მიეცა.

ინგლისში თუ არის მეფე, არის მხოლოდ სახელით, საქმით კი ბატონი და გამგე თვით ინგლისის ხალხი, მისი წარმომადგენლები,—ზემო და ქვემო პალატა.

—ლი.

**მუშების გაფიცვა ციმბირის გზაზე.** ციმბირის რკინის გზაზე ქალაქ ჩიტაში 12 თებერვალს რკინის გზის სახელოსნოების მუშები გაიფიცნენ, მუშაობაზე ხელი აიღეს და მთავრობას დეპუტაცია გაუგზავნეს. დეპუტაციამ მუშების სახელით მოითხოვა, ომი შეწყვიტეთ და ზავი ჩამოაგდეთო. („რ. ვ.").

**მომავალი ბრძოლა ზღვაზე.** „ფორ. რევ."-ის კორესპონდენტს ინგლისის სამ ადმირალისათვის უკითხავს, როგორა გგონიათ, მომავალ ბრძოლის დროს იაპონიის ფლოტი გაიმარჯვებს თუ რუსეთისაო.

ადმირალს ფრიმენტელს უთქვამს, პირდაპირ ბრძოლაში იაპონელები ვერ გაიმარჯვებენ, რადგან რუსებს დიდი ესკადრა აქვთო. ისე კი, ჩუმის თავდახსხმითა და მოულოდნელის იერიშებით, ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრას იაპონელები იმავე დღეს დაამარცხებენ, რაც პორტ-არტურის ესკადრას დაამარცხესო.

კორესპონდენტი მეორე ადმირალთან—გოპკინსთან მივიდა და ჰკითხა, სად არიან ეხლა იაპონიისა და რუსეთის ესკადრები და სად შეხვდებიან ერთმანეთსაო.

— ოჰო! სად შეხვდებიან ერთმანეთსაო? სამწუხაროდ ტოგოცა და როჟესტვენსკიც ისე გულჩახვეულნი არიან, რომ აქამდის არაფერი შეგვატყობინეს. აი, რუკას რომ შეხედოთ, დარწმუნდებით, რომ რუსებს ასი გზა უძევთ წინა, იაპონელებს კი—ერთი. იაპონიის მთავარი ფლოტი კუნძულ ბორნეოსთან იცდის, კრეისერები კი კუნძულ ჩაგოსსა და მავრიკიის შუა დათარეშობენ. ადმ. ტოგომა და კამიმურამ საშიში გზა აირჩიეს: იაპონიის ფლოტის ნაწილი თავიანთ ბაზას 2,000 მილით დააშორეს. როჟესტვენსკის ესკადრა რუსეთის უკანასკნელი იმედია, ამიტომ შესაძლებელია, რომ რუსები არაფერს დაერიდნენ და ან დაიხოცნენ, ან ვლადივოსტოკს მიაღწიონ. რუსეთის ჯარი ფლოტის დაუხმარებლად უძლურია და იაპონიის ჯარს ვერაფერს დააკლებს. ჩემის აზრით, საზღვაო ომი ზონდის არხიპელაგთან სამი კვირის შემდეგ მოხდება. თუ იაპონელებმა მოახერხეს და როჟესტვენსკის სწორედ ამ ალაგას შეებნენ, იაპონელები გაიმარჯვებენ და, თუ როჟესტვენსკიმ როგორმე მოახერხა და ოხოტსკის ზღვამდე მიაღწია, საქმე ცოტა სხვანაირად დატრიალდება.

ადმირალი მონტელს კი სულ სხვა უთქვამს: მონტელის აზრით, რუსების საქმე წასულია. რუსებს ყველაფერი აქვთ,—უთქვამს ადმირალს,—ჯავშნოსნებიც, კრეისერებიც, ნაღმოსნებიცა და ტრანსპორტებიც. ერთი სიტყვით, საბრძოლველი მასალა კი აქვთ, მაგრამ არა აქვთ ინიციატივა, არა ჰყავთ მეზღვაურნი და ცოცხალი ხალხი. ამ ერთი წლის განმავლობაში ჩემი სიტყვების სიმართლე რუსებმა მშვენივრად დაამტკიცეს. რუსები კარგი მოხელეები არიან, ადმირალობა და ფლოტის უფროსობა კი იმათი საქმე არ არის. ეხლა საით წავლენ მადაგასკარიდან? რასაკვირველია, ზონდის არხიპელაგისკენ, მაგრამ საქმეც იმაშია, მივლენ კია? როჟესტვენსკის მაგიერად მე სხვა გზას ავირჩევდი: ან სანდვიჩევის კუნძულებისკენ წავიდოდი, ან გორნის კონცხისკენ და ან ოხოტსკის ზღვისკენ. აქ კი, ინდოეთის ოკეანეში რუსები ტოგოს ვერ გაეპარებიან. ფლოტი ნემსი არ არის და ზღვასაც საზღვარი აქვს. ჩემთვის ეჭვს გარეშეა, რომ, დღეს თუ ხვალ, იაპონელები რუსეთის ესკადრას დაეცემიან და დაფეთქებენ. რუსეთის ფლოტი ეხლაც ისევე უსახელოდ და სამარცხვინოდ დაიღუპება, როგორც პორტ-არტურის ფლოტი დაიღუპა. იაპონელებმა ინდოეთის ოკეანეში, წყალ ქვეშ მავალი ნავებით დატვირთული გემები გაგზავნეს და სწორედ ეს ნავები მოუღებენ ბოლოს როჟესტვენსკის ესკადრას. ჩემის აზრით, რუსეთის ფლოტი ისე დაიღუპება, რომ იაპონიის ფლოტს თვალითაც ვერ დაინახავს. მე კარგად ვიცი, რამდენი ძალა აქვს როჟესტვენსკისა და ტოგოს და სად არიან ამჟამად ორივე ადმირალები, მაგრამ ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, ეთიკა ნებას არ მაძლევს.

საზოგადოდ ინგლისში დიდ ყურადღებას აქცევენ მომავალ საზღვაო ბრძოლას და გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს ორივე ფლოტის მოძრაობას. ინგლისელები ორ ბანაკად გაიყვნენ: ზოგი ამბობს, ადმირალი როჟესტვენსკი ვლადივოსტოკს მიაღწევსო, ზოგი კი—ვერ მიაღწევსო: იაპონელები რუსეთის ესკადრას სულ ბოლოს აადგებიან, გაანადგურებენ და, თუ დარჩა რამე, უკანვე გამოგზავნიანო. (რ.).

**გენ. სტესელის აზრი რუსეთში არსებულ მოძრაობის შესახებ.** სტესელი რომ პეტერბურგს მივიდა, სადგურზე აფიცრები და გენერლები დახვდნენ და, რასაკვირველია, ჩვეულებრივის სიტყვებითა და მისალმებით მიეგებნენ. ცნობილმა გენერალმა ბოგდანოვიჩმა სიტყვით მიმართა სტესელს და, სხვათა შორის, რუსეთის „მეამბოხეთაც" კლანჭი გაჰკრა. სტესელმა ბოგდანოვიჩი დაამშვიდა: რუსეთში არავითარი არეულობა და მოძრაობა არ არისო.

— არეულობის შესახებ,—სთქვა სტესელმა,—პირველად სტამბოლში გავიგე, მაგრამ... მთელი რუსეთი გადავჭერი და ფეოდოსიიდან დაწყებული პეტერბურგამდე ყოველ სადგურზე ხალხი გულწრფელად მეგებებოდა. მეც ვაკვირდებოდი ამ ხალხსა და დავრწმუნდი, რომ რუსეთის ერს თავის სამშობლო და ხელმწიფე უყვარს და იმის ერთგულიც არის. მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ რუსეთის ერი მეამბოხე (крамольникъ) არ არის. იაპონელები არც პორტ-არტურში გვასვენებდნენ და ათასნაირ პროკლამაციებს გვიგზავნიდნენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ, რუსეთშიაც, ხალხის ამბოხება იაპონელთა აგიტატორების საქმეა, აქაც იაპონელები მუშაობენ. იაპონელებს ამით უნდათ, რომ მანჯურიაში გამარჯვება არ გვერგოს. მე მწამს რუსეთის ერის პატრიოტობა და ისიც ვიცი, რომ ბოლოს მაინც ჩვენ გავიმარჯვებთ. რუსეთის ერს თავის ხელმწიფე უყვარს. მაშ გაუმარჯოს რუსეთის ხელმწიფეს, ურა!

სტესელს დაავიწყდა ეთქვა, რამდენი მილიონი გამოუგზავნეს იაპონელებმა რუსეთის მეამბოხეებს, 18 თუ მეტი. ამას სტესელი გენ. ნოგისაგან გაიგებდა. (რ.).

# ახალი ამბავი

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 24 თებერვალს, ტფ. სახაზინო თეატრში ბ-ნ **კოტე მესხის საბენეფისოდ, ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით**, წარმოდგენილი იქნება ვიქ. ჰიუგოს ცნობილი დრამა „რუი ბლაზი". ეს წარმოდგენა უკანასკნელია ამ სეზონში. იმედია, საზოგადოება მრავლად დაესწრება.

✦ „ცნ. ფურ."-ს დეპეშით ატყობინებენ ოზურგეთიდან: **კრიმ-გირეი შეუდგა გურიაში მოგზაურობას;** დღეს ინახულა შემოქმედის საზოგადოება. მიჰმართა სოფლელებს სიტყვით და სთხოვა ყველაფერი გულახდილად თქვათო. გლეხებმა აუწერეს თავიანთი გაჭირვებანი და განუცხადეს შემდეგი: საჭიროა განთავისუფლდეს დროებით ვალდებული გლეხები სახელმწიფო ხარჯისაგან, მოისპოს ის ბეგარა, რომელიც მარტო გლეხებს აწევს კისერზე, დაუბრუნდეთ სანადელო მიწებში მიცემული ფული, მიეცეთ ვრცელი ადგილობრივი თვითმართველობა და სხვა ვრცელი რეფორმები.

✦ ამავე გაზეთს ქუთაისიდან ატყობინებენ 22 თებერვლის თარიღით: „რკინის გზის **ლიანდაგზე მომუშავე მუშებმა**, რიცხვით ორმოცდაათმა კაცმა, **თავი გაანებეს მუშაობას.** თხოულობენ დღიურ ფასის მომატებას. აქამდე 70 კ. იღებდნენ".

✦ გორიდან გვატყობინებენ: აქაურ სასწავლებლებში,—**სამოქალაქო, სასულიერო და დედათა გიმნაზიაში მღელვარებაა.** სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელში მოწაფეებმა უწესობა მოახდინეს და დაიშალნენო.

✦ ბაქოდან გაზ. «კავკაზს» დეპეშით ატყობინებენ: „**ომიანობის დროის წესრიგის გამოცხადების შემდეგ დაპატიმრებულ იქმნა რამდენიმე საშიში დამნაშავე**, მათ შორის ერთი **წევრი საერთაშორისო სარევოლუციო კომიტეტისა და ორი ქალი.** იპოვნეს მთელი ცალი პროკლამაციებისა, საიდანაცა სჩანს რევოლუციონერთა შეარის განზრახვა ბაქოს **გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის წინააღმდეგ.** პროკლამაცია მაშინ უნდა გაეკრათ ქუჩებში, როდესაც ბოროტ-მოქმედნი აღსრულებაში მოიყვანდნენ თავიანთ განზრახვას".

✦ როგორც გავიგეთ, გუშინწინ დილის ცხრა საათზე, **სამტრედიაში დაუჭრიათ ადგილობრივი ბოქაული.** დამნაშავე ვერ აღმოუჩენიათ.

✦ თელავის ქართველობამ 20 თებერვალს გადიხადა **პანაშვიდები ბაქოში გაჟლეტილთა სულის მოსახსენებლად.** პანაშვიდი ჯერ სომხეთა ტაძარში გადაიხადეს, მერე ღვთაების ახლო მდებარე მოედანზედ, რადგანაც ტაძარსა და მისს გალავანში ხალხი ვერ დაეტია. სომხეთა სამღვდელოებისგან გადახდილი პანაშვიდის შემდეგ, წაკითხულ იქმნა მოწოდება სომხეთა კათოლიკოსისა დაზარალებულთა სასარგებლოდ შესაწევრის შეკრების შესახებ. ამის შემდეგ იქავე წარმოსთქვეს სიტყვები: ქ-მა ნინა სიმონის ასულმა რცხილაძემ, მ. ს. აჯიმამუდოვმა და ი. ზარაფიშვილმა, რომელთაგან, პირველი, შეეხო იმ პირობებს, რა პირობებიც კავკასიაში მცხოვრებელთ იწვევს სოლიდარობისაკენ, მეორე, მშვიდობიანობის ნაყოფიერებას, ხოლო მესამე—მიზეზებს ბაქოში ჟლეტისას.

✦ ექსარხოსის კანცელარიამ მიმართა ბლაღოჩინებს და სთხოვა, იხმარეთ ყოველი ღონისძიება და სოფლებს ააშენებინეთ **სადგომები იმ ლვდლებისთვის**, რომლებსაც არა აქვთ თავშესაფარი თავის სამრევლოშიო.

✦ **ღვინით მოვაჭრე ამხანაგობას „კახეთიას" განუზრახავს** მიეშველოს დავრდომილ კახეთის გლეხკაცობას და გადაუწყვეტია **ვაზის საწამლავის მასალა მიაწოდოს შეღავათიან პირობებით**, რათა გლეხკაცობას შეეძლოს თავი დააღწიოს ჩარჩი მიკიტნების ხელიდგან, მხოლოდ ამხანაგობა მიიღებს თავის ფულს მაშინ, როცა გლეხკაცი ფასში გაჰყიდის ღვინოს.

✦ რადგანაც წარსულ წელს აუარებელი **შაბი და გოგირდი გაიყიდა თელავში** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ გამართულ საწყობიდან, ამიტომ სამეურნეო საზოგადოება წელს აპირობს ეს მასალა **ბლომად გაგზავნოს** ხსენებულ საწყობში; მასთანვე საწყობის გამგეს ბ-ნ ზარაფიშვილს სთხოვა საზოგადოებამ ვაზის სამკურნალო მასალისათვის, თუ შესაძლებელია, გაფართოვდეს, მიიღეთ შესაფერი ზომებიო. ამასთანავე სამეურნეო საზოგადოებამ კახეთში წარმომადგენლობა დაავალა ვერმიშევსა და დანდუროვს, რომელთაც ნება ეძლევათ დააარსონ კახეთში შვიდ ადგილს ვაზის სამკურნალო მასალის საწყობები—სადაც კი ისინი სცნობენ საჭიროდ. სამეურნეო საზოგადოებამ სთანავე მიმართა მაზრის უფროსს და სთხოვა ხელი შეუწყოს ზემოხსენებულ პირთ საწყობების გახსნაში.

✦ კავკასიის სამკურნალო საზოგადოების გამგეობისთვის **რამდენსამე ექიმს** თხოვნა მიუციათ, მოკლე ხანში **სამკურნალო საზოგადოების საგანგებო კრების დანიშვნას თანამედროვე საქმეებზე** მოსალაპარაკებლადო.

✦ ტფილისის საგუბერნიო **სამკურნალო გამგეობაში** აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ახლავე იქმნეს მიღებული ჯეროვანი **ღონისძიებანი გაზაფხულზე მოსალოდნელ ხოლერასთან საბრძოლველად.**

✦ ახალი **შენობა სასულიერო სემინარიისათვის**, როგორც ოფიციალურად აუწყა ამშენებელმა კომისიამ რექტორს, ამჟამად უკვე მზად არის; სემინარიის ადმინისტრაციას განუზრახავს, შენობა ელექტრონით გაანათოს და მის გარშემო ბაღიც გააშენოს.

✦ **მომავალ ზაფხულს ბევრი ქუჩა და მოედანიც უნდა ქვაფენილით მოიკირწყლოს.** ამიტომ ქალაქის გამგეობამ უბრძანა ვაჭრობის მეთვალყურე აგენტებს, სასტიკად ადევნონ თვალყური იმ მტკვრის ნაპირებს, საიდგანაც ქვა და ქვიშა ამოდის, რომ კერძო პირებმა ნებადაურთველად არ ისარგებლონ ქვითა და ქვიშით და მასალის უქონლობამ ქალაქს თავის განზრახულებაში ხელი არ შეუშალოსო.

✦ ქალაქის გამგეობა სთხოვს თბილისის გუბერნატორს, რომ ქალაქის **სასწავლებლების მზრუნველ კომისიის წევრად** დაამტკიცოს ხმოსანი **ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.**

✦ ნავთლუხელებმა აუწყეს ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს, რომ **წერილები ხშირად იკარგება, ნავთლუღში** მცხოვრებთა სახელობაზედ მიწერილი, და ამისთვის გთხოვთ ამ საქმის წესრიგი უკედ მოაწყოთო.

✦ იმ წარმოდგენიდან, რომელიც სახაზინო **თეატრში** გაიმართა **საბალოსნო სკოლის სასარგებლოდ**, დარჩენილა ხარჯს გარეთ 400 მან.

✦ ორშაბათს, 28 ამ თვეს, დანიშნულია ქალაქის **ლომბარდის რევიზია.**

✦ ტფილისის **ხელოსანთა** გამგეობასთან დაარსდა **კასსა**, რომელსაც აზრად აქვს მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს მოხელეთ გაჭირვებაში; წესდება ამ კასსისა უკვე შეუმუშავებია კომისიას ხელოსანთა მამასახლისის თავმჯდომარეობით და წარუდგენია დასამტკიცებლათ ტფ. გუბერნატორთან; ამ დამხმარებელ კასსის ქონების გასაძლიერებლად ხელოსანთა მამასახლისს მიუმართავს ამქრებისათვის და უთხოვნია, ის საჩუქარი, რასაც ამქარი შოულობს დამარხვის დროს პატივცემულ პირთაგანაო, შეტანილ იქმნას ხსენებულ კასსაში ქონების გასაძლიერებლადო.

✦ ნავთლუღელებმა ხელმეორედ მიმართეს ტფ. მოურავს და სთხოვეს, ან **სავალდებულოდ გაუხადეთ უსახელო საზოგადოებას მათი პირობები** და გამოაყვანინეთ ნავთლუღისაკენ რკინის გზა, ან შეგვიმსუბუქეთ ეს ამოდენა ტვირთი სხვადასხვა ხარჯებისა, რომელსაც ჩვენ ვეწევით ქალაქში დანარჩენ მცხოვრებლებთან ერთადო.

✦ ქალაქის გამგეობის მისაღებ ოთახში გაკრულია ტფილისის მოქალაქეთა სია, რომლებიც არიან დაბადებულნი 1 ღვინობისთვიდან 1883 წლ. 1884 წლის 1 ღვინობისთვემდე და რომელთაც უნდა **ამოიღონ კენჭი მიმდინარე წლის ღვინობისთვეში.** ვინც ზემო-აღნიშნულ დროს განმავლობაში დაიბადა და ამ სიაში არ მოხვდა, მოვალენი არიან დაუყონებლივ გამოცხადდნენ ქალაქის გამგეობაში დაბადება-მონათვლის მოწმობით და ჩააწერინონ თავიანთი თავი. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებულ იქმნებიან სამხედრო სამსახურში უკენჭოდ.

✦ როგორც გავიგეთ **ბათუმის პორტის ნაწილის პოლიციის ბოქაულად** დაუნიშნავთ კ. ნ. **ჯაფარიძე.**

✦ **სურამის ბოქაულად დაინიშნა გ. უზნაძე**, ნაცვლად ტანნერბერგისა, რომელიც ამას წინად **მძიმედ დასჭრეს.**

✦ 21 თებერვალს, **ქ. ფოთში** ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ **გაუძარცავთ ერთი მასწავლებელი**, რომელიც ხაზინიდან მიდიოდა და იმ დღეს აღებული თავისი ჯამაგირი მიჰქონდა. მძარცველებმა თურმე შეუკრეს ხელები, ამოაცალეს, რაც ჯიბეში ფული ჰქონდა, და დაიმალნენ.

✦ გუშინ ჩვენს გაზეთში ვსწერდით, რომ პეტრე-პავლეს ქუჩაზე **პოლიციელს უნახავს** ცალიერი ეტლი. ეხლა, როგორც გავიგეთ, ამ ეტლის პატრონის **გვამი** უპოვნიათ მე-7 პოლიციის ნაწილში, ორთაჭალის კუნძულზე. თავი გატეხილი აქვს. მალაკანია, გვარად პანკრატოვი.

✦ 22 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, გოლოვინის პროსპექტზე ტრამვაის ვაგონში ვიღაცას **ამოუცლია საათი** ქალაქის საკრედიტო საზოგადოების დირექტორის გასპარ **ტუტუზოვისთვის.** ქურდი დაჭერილია.

✦ **სურამის გარშემო მდებარე სოფლებში**, როგორც გვატყობინებენ, **დიდი თოვლი მოსულა.** გზები შეკრულია და მოძრაობა, აგერ მეოთხე დღეა, შეწყვეტილია.

## ოფიციალური ცნობანი

### I

14 თებერვალს, დილით, ქალაქ ქუთაისში, ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიის მოწაფენი შეიკრიბნენ გიმნაზიის სადგომში და, გაიგეს თუ არა სწავლა შესწყდაო, ყვირილი მორთეს და უგმაყოფილება განაცხადეს, შემდეგ კი თავ-თავიანთს სახლში წავიდწამოვიდნენ. წასვლის დროს ზოგმა მოწაფემ გიმნაზიის შესავალ კარების ორი დიდი ფანჯარა ჩაამტვრია. რეალურ სასწავლებლის მოწაფეებმა კი, როდესაც გამოუცხადეს განკარგულება სწავლის შეწყვეტის თაობაზედ, შეადგინეს ჯგუფი, ასე 200-მდე, შეცვივდნენ სასწავლებლის ეზოში, დაიწყეს „ურას" ყვირილი, ამართეს ორი წითელი დროშა მთავრობის საწინააღმდეგო ზედ-წარწერით და დაიწყეს რევოლვერების სროლა, რის გამოც უბედურად დაიჭრა მსუბუქად მე-6 კლასის მოწაფე ალექსანდრე კოსიაკოვი. იქვე მყოფი პოლიციის ბოქაული შეეცადა ეზოში შესულიყო, მაგრამ სასწავლებლის დირექტორმა შეაჩერა და სთხოვა, ნუ იზამთ მაგ საქმეს, და აღუთქვა, მე თვითონ დავამშვიდებ მოწაფეებსაო. სასწავლებლის ეზოდგან გამოსვლის შემდეგ მოწაფეები ასე 200 კაცამდე შეგროვდნენ ბალახვანის ქუჩაზედ; რეალისტებს შეუერთდნენ აგრეთვე გიმნაზიელებიც. გამძვინვარებული ჯგუფი „მარსელიეზას" სიმღერით, სტვენით და ყვირილით გაემართა დედათა წმ. ნინოს სასწავლებლისაკენ, სადაც შეხვდათ პოლიცმეისტერი და პოლიციის ბოქაული, რომელთა დანახვაზე ბევრი გაიქცა, ხოლო დანარჩენები, ასე 70 მდე, დაიშალნენ და გადასცეს რეალურ სასწავლებლისა და გიმნაზიის დირექტორების განკარგულებაში, რომელთაც პატიოსანი სიტყვა ჩამოართვეს მოწაფეებს რომ ამიერიდგან აღარ მოახდენენ არავითარ უწესობას, და თავთავიანთს სახლში გაუშვეს. ამის შემდეგ, დანარჩენ დღის განმავლობაში და საღამოს, რეალურ სასწავლებლის მოწაფენი დახეტიალებდნენ ჯგუფ-ჯგუფად ქუჩებში და ბულვარზედ, რევოლვერებს ისროდნენ და პოლიციის მოთხოვნილებას—დაიშალენითო,—არ ასრულებდნენ.

საღამოს 5 საათზე ახალგაზრდობის გროვამ, რომელსაც მიემატნენ კიდევ ნოქრები, სულ 200-ზე მეტმა პირმა,—დაუწყეს რევოლვერების და ქვის სროლა დარაჯებს, რის გამოც დაიჭრა ორი ცხენი, ერთ დარაჯს ფარაჯა ხუთ ადგილას დახვრეტილი აღმოაჩნდა ტყვიით. დარაჯებიც იძულებული შეიქმნენ დაეწყოთ სროლა დემონსტრანტების საწინააღმდეგოდ. მთელი ამ საღამოს განმავლობაში ბულვრის მხრიდან, სახლებიდან და აივნებიდან განუწყვეტლივ ესროდნენ ყაზახებს და დარაჯებს, და ამის მოსასპობლად შეიქმნა საჭირო იარაღის ხმარება. ამასობაში რამდენიმე ყაზაგი და დარაჯი დაშავდა მოხვედრილი ქვებით, დემონსტრანტებში კი მოიკლა ერთი ნოქარი თევდორაძე და მძიმედ დაიჭრა ნოქარი ბოკერია და ერთი ნოქარი ხაბურზანია, მსუბუქად დაიჭრა გიმნაზიელი დოდობერიძე, რეალურ სასწავლებლის მოწაფე ჩიჩუა და მსახური ბაბინაშვილი.

### II.

ამა თებერვლის 19 ქ. ერევანში, საღამოს ქუჩაში ხანჯლით დაიჭრა უცნობ ბოროტ-განმზრახველთაგან გუბერნიის ექიმი ურაზოვი, რომელიც იმ დროს გუბერნატორთან მიდიოდა. ამ მკვლელობას, როგორც ეტყობა, პოლიტიკური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

20 თებერვალს, დილის 11 საათზე, შუშის მოედანზე წააწყდნენ ერთმანეთს ორი მაჰმადიანი და ერთმანეთს რევოლვერი ესროლეს. ამის გამო ასტყდა აღიაქოთი. რევოლვერის სროლა დუქნებში და გარშემო სახლებში,—უმეტეს ნაწილად ჭერში ისროდნენ. ამ სროლის დროს აღმოჩნდა მოკლული ორი სომეხი და ერთიც მაჰმადიანი, დაჭრილი, ერთი ადგილობრივი ურია, ორი მაჰმადიანი და შვიდი სომეხი. მაშინვე მივიდნენ მორიგი როტა, პოლიცია და დარაჯები და შესწყვიტეს არეულობა. გუბერნატორი, გარნიზონის უფროსი, სომხეთა ეპარქიის უფროსი, ქალაქის მოურავი და სომხეთა და მაჰმადიანთა სამღვდელოება გაემართნენ ჯარებისაკენ,—მოიარეს მთელი ქალაქი, რის შემდეგაც ქალაქის მცხოვრებლებიც, როგორც ეტყობა, დაწყნარდნენ.

21 თებერვალს პოლიციელები საპატიო სომხებთან და მაჰმადიანებთან ერთად დადიოდნენ ბაზარში და დუქნებშიაც: ყველგან სიწყნარე სუფევდა. დილის ათი საათი იქნებოდა, როდესაც ბაზარში რამოდენიმეჯერ გაისმა სროლის ხმა. იმ წამსვე ქალაქის სხვა და სხვა კუთხეშიაც დაიწყეს სროლა; პოლიციამ და ჯარმაც ნახევარ საათის შემდეგ შესწყვიტეს უწესოება. სავაჭრო დუქნები დაკეტეს. ამ დღეს მოკლული აღმოჩნდა შვიდი მაჰმადიანი და ერთი სომეხი. დაჭრილია თორმეტი მაჰმადიანი და ექვსი სომეხი. მშვიდობიანობის დასაცველად გუბერნატორმა, ადგილობრივ ჯარის უფროსთან შეთანხმებით, მოაწყო ქალაქის გაძლიერებული დაცვა ჯარებით, საპოლიციო დარაჯებს გარდა („კავ.").

## მთავარ-მართებლის განკარგულება.

### I.

გაზეთ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია შემდეგი განკარგულება მთავარმართებლის თანამდ. ადმასრ. გენ.-ლეიტ. მალამასი: „ბრძანება კავკასიის საბოქაულო ნაწილისადმი № 16. ხელმწიფე იმპერატორმა 18 თებერვალს ბოძებულ უმაღლესის ბრძანებით საჭიროდ დაინახა: 1) ბაქო და ბაქოს გუბერნია გამოცხადებულ იქმნას ომიანობის დროის წესრიგზე და გავრცელდეს ბაქოსა და ბაქოს გუბერნიაზე ისეთი წესები, როგორიც არსებობს სხვა ისეთ ადგილებში, სადაც ომიანობის წეს-რიგია შემოღებული; 2) მიენიჭოს მთავარ-მართებელს საგანგებო მოვალეობა უფლებანი საომარ რიგზე დაყენებულ ადგილებში არსებული სამხედრო მთავრობისა და საგანგებო უფლება-მოვალეობანი სახელმწიფო წესიერების დაცვისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დამმყარებელ სამოქალაქო უწყების ადმინისტრატიულ ორგანოებისა და 3) ნება მიეცეს მთავარ-მართებელს გადასცეს თვისი საგანგებო უფლებანი, რომელიც მინიჭებული აქვს ზემო-აღნიშნულ დებულების მე-19 სტატიის ძალით, საგანგებოდ ამისთვის დანიშნულ კაცს, ისე კი, რომ მთავარ მართებელს უფლება ჰქონდეს, თუ საჭიროდ დაინახავს, გააუქმოს იმისი განკარგულებანი შესახებ სახელმწიფო წესიერების დაცვისა და საზოგადოებრივი მშვიდობიანობისა. გადავეცი-რა ამასთანავე ჩემი საგანგებო უფლება მოვალეობანი გენ.-ად. თავ. ამილახორს, რომელსაც უფლება აქვს, თანახმად ომიანობის დროის წესრიგზე გამოცხადებულ ქვეყნის დებულების მე-19 მუხლისა (დამატ. საზ. საგუბ. დაწეს. დებულების მე-23 სტატ.), ვაცხადებ ამას საცნობლად და, ვისაც შეეხება, აღსასრულებლად".

### II.

**სავალდებულო დადგენილება**

ქალაქ ბათუმისთვის გამოცემული თანახმად 15 მუხლისა სახელმწიფო წესიერებისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვის დებულებისა (დამატ. 1-ლი I სტ. 2 შენიშ. სახელმწიფო დანაშ. დებულებისა ტ. XIV კან.-კრ. გამ. 1890 წ.).

საზოგადოებრივ მშვიდობიანობისა და წესრიგის დასაცველად მე საჭიროდ დავინახე, თანახმად 15 მუხლისა სახელმწიფო წესიერებისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვის დებულებისა, დასამატებლად მთავარმართებლის მიერ 1903 წ. 8 აგვისტოს გამოცემულ ქალაქ ბათუმისათვის სავალდებულო დადგენილებისა, დავადგინო, რომ 1) ქალაქ ბათუმში აკრძალული იყვეს როგორც მოედნებსა და ქუჩებში, ისე კერძო სახლებიდან და შენობებიდან თოფის სროლა, 2) დამრღვევი ამ სავალდებულო განკარგულების პირველი მუხლისა დაჯარიმებულ იქმნას, ადმინისტრატიული წესით, თანახმად სახელმწიფო წესიერების და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დებულების 15 და 16 მუხლებისა 500 მანათით ან და დაპატიმრებულ იქმნას 3 თვით.

ასეთ დასჯის უფლებას გაძლიერებული დაცვის დებულების 51 სტ. 16 თანხმად ვანიჭებს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს. 3) ეს სავალდებულო განკარგულება ძალაში შედის დღიდან მისი გამოცხადებისა. კავკასიის მთავარ-მართებლის შანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი მალამა. ქალ. ტფილისი, თებერვალი 21 1905 წელი.

# სადღეისო

**დედ-ენა სასწავლებელში.**

ხშირია პოლიტიკური სიბრმავე!

სდევნიან სასწავლებლებში დედა-ენას და არ იციან, რომ არ შეიძლება ამითი საზოგადოების გადაგვარება, რომ, პირიქით, ამას მოჰყვება ყოველთვის ხალხის გამოფხიზლება და დედა-ენის ზედ-მეტი პატივისცემა და სიყვარული.

სასწავლებელი არსებობს ხალხისთვის და ამიტომ სასწავლებელში სწავლა-განათლების საქმე უნდა იყოს მოწყობილი ისე, როგორც ხალხისათვის უფრო სასიამოვნო და სასარგებლოა.

სასწავლებელში საპოლიტიკო მიზნების შეტანა რყვნის მასწავლებელს, გულს უტეხავს სწავლაზე მოსწავლეს და აბრაზებს გარეშე საზოგადოებას.

ამიტომ არის, რომ საზოგადოებას არ უყვარს ჩვენში სასწავლებლები, თუმცა სწავლა-განათლება-კი ენატრება. ამიტომ არის, რომ მოწაფეები მტრულის თვალით უყურებენ მასწავლებლებს, და მასწავლებლები-კი სწავლების მაგიერად პოლიციის სამსახურს სწევენ სასწავლებელში.

არ გაჰბედოთ ქართული ლაპარაკიო.

არ წაიკითხოთ ქართული წიგნი!

ვითომ რა არის? რა ბოროტ-მოქმედებაა ქართული ლაპარაკი ან ქართული კითხვა სასწავლებელში?

ლათინურსა და ბერძნულს თავს აკლავენ ბავშვები, ფრანგულსა და გერმანულს სწავლობენ,—ყველა ენა საჭიროა, ყველა ენა უნდა ისწავლოს ყმაწვილმა,—არ შეიძლება მხოლოდ ქართული!

იმიტომ, რომ ეს ენა ქართველ ბავშვის დედაენაა!..

ასევე ექცევიან პოლონელებსაც და აი, როგორ იხსენიებს ერთი პოლონელი თავის ბავშვობას, როდესაც ვარშავის ერთ-ერთ გიმნაზიაში სწავლობდა თურმე:

„გიმნაზიაში თანდათან ძლიერდებოდა სიძულვილი რუსულისადმი და სასწავლებელს გარედ ვერავითარი ძალა ვერ ამოგვაღებინებდა ერთ ხმასაც რუსულად, სასწავლებელს გარედ ერთ რუსულ წიგნსაც არ წავიკითხავდით, ერთ რუსულ წარმოდგენასაც არ დავესწრებოდით. შეგვძულდა პუშკინი და ლერმონტოვი, შეგვძულდა რუსების საუკეთესო მწერლები და მეცნიერები იმიტომ, რომ ისინი ეკუთვნოდნენ იმავე ეროვნებას, როგორც ჩვენი ერის მდევნელი პედაგოგები"!..

„იმდენად შეგვძულდა რუსული, რომ ფიცი დავსდევით ერთმანეთში გიმნაზიაში ყოფნის დროს ან ჩვენ დედაენაზე გველაპარაკა ან, რუსულს თუ ვილაპარაკებდით, დამტვრეული რუსული გველაპარაკა, განგებ დაგვემახინჯებია ის ენა, რომელსაც გვაჩრიდნენ ძალად".

ზოგიერთი ვერ ლაპარაკობდა ხეირიანად პოლონურს,—ერთი წლის შემდეგ ამათაც ზედმიწევნით ისწავლეს დედაენა, ისწავლეს იმიტომ, რომ ამ ენას სდევნიდნენ სასწავლებელში".

ამას ამბობენ პოლონელები.

მართალია, ჩვენში ისევე ექცევიან ქართულს, როგორც პოლონეთში პოლონურს, მაგრამ ჩვენში საზოგადოება მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გამოფხიზლდა და შეიგნო ყველა ის შეურაცხყოფა, რომელსაც აყენებენ ამას არა-მკითხე პედაგოგები.

ქართველი ერი რუსეთის ისეთივე წევრია, როგორც რუსები,—მათში უნდა იყოს ამიტომ სრული თანასწორობა და, რუსებისათვის სწავლა-განათლება თუ სწარმოებს რუსულად, ე. ი. მათ დედაენაზე, ასეთივე უფლება უნდა გვქონდეს უთუოდ ჩვენ, ქართველებსაც.

ჩვენი დედა-ენა არის ქართული და ამიტომ სწავლა-განათლებაც უნდა სწარმოებდეს ჩვენში ქართულად.

ჩვენ რად უნდა ვსწავლობდეთ უცხო ენაზე, როდესაც რუსები მათ დედაენაზე სწავლობენ.

არა მარტო სახალხო სკოლებში,—საშუალო სასწავლებლებშიაც ქართულ ენაზე უნდა სწარმოებდეს ყველა სამოსწავლო საგნის სწავლება და, თუ მოხერხდა, ქართული უნივერსიტეტიც უნდა მოეწყოს იმათთვის, ვისაც უნდა უმაღლეს განათლების მიღება.

ასეთია თანასწორობის იდეალი... ამ იდეალის მიღწევა ძნელია, მრავალი დაბრკოლება ელობება წინ იმას, ვინც ცდილობს გააუმჯობესოს თავისი მდგომარეობა, მაგრამ სიძნელე არ უნდა აშინებდეს არავის, ვინაიდან თავის თავად არაფერი არ კეთდება დედამიწაზე. სამაგიეროდ ვერაფერი ვერ გაუჩერდება წინ იმ სურვილს, რომელსაც მტკიცედ დაადგება მთელი საზოგადოება, მთელი ერი!..

არა-მკითხე პედაგოგები ივიწყებენ, რომ ყოველი ერი აფასებს ამა თუ იმ სახელმწიფოს წევრობას მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ისეთივე უფლებები აქვს სახელმწიფოში, როგორც დანარჩენ ერებს.

პრივილეგიები, უთანასწორობა კერძო ცხოვრებაშიაც ძნელი ასატანია ადამიანისთვის, მით უფრო ძნელია ამის ატანა საზოგადო ცხოვრებაში და ამიტომ არის უთუოდ საჭირო მიენიჭოს დედა-ენას ჯეროვანი ადგილი სასწავლებლებში.

ამას მოითხოვს გონიერება და სამართალი...

ნ. ნ.

# პრესსა

„რუსული უწყებები" ამბობენ, ფინლიანდიაში ჟანდარმებს თანდათან მეტი უფლება მიეცათო: ჟანდარმებს შეუძლიათ გაჩხრიკონ ყველა სახლი, დაპატიმრონ საეჭვოდ მიჩნეული პირები, საპოლიტიკო საქმეებზე, თავიანთ ნებაზე აწარმოონ გამოძიება, ათვალიერონ ფინლიანდიაში მომსვლელ ან წამსვლელ პირთა პასპორტები, თვალ-ყური ად-

ეენონ სახაყობებს საზღვრებზე, ერთის სიტყვით მათ მინაჭებული აქვთ იგივე უფლება, რომელიც უნდა ჰქონდეს ფინლიანდიის პოლიციას და მაინც ამათ შესანახავად ფინლიანდელებს ახდევინებენ 600 ათას მარკას ყოველ წლიურად.

ფინლიანდიაში მყოფი ჟანდარმები იქ გაჩერებულ რუსის ჯარის ნაწილს შეადგენენ და არ ექვემდებარებიან ფინლიანდიის კანონებს. რუს ჟანდარმებს ყოფნა ფინლიანდიაში იყო კანონიერი, მანამ ისინი მხოლოდ იქაურ რუსებს ადევნებდნენ თვალ-ყურს და მანამ მათ არ ჰქონდათ მინიჭებული ფინლიანდელ ჟანდარმების ყოფილი უფლება.

ბობრიკოვის მოსვლამდის ფინლიანდიაში რუს ჟანდარმებს არ ჰქონდათ უფლება შეჰხებოდნენ ფინლიანდელებს და როდესაც ერთხელ შეცდომით გაჩხრიკეს ვიღაც ფინლიანდელის სახლი, მთელი ფინლიანდია აღელდა, ეს საქმე შეატყობინეს იმპერატორს ალექსანდრე III და იმანაც ამ მოხსენებას საკუთარის ხელით დააწერა რომ „საუბედუროდ“ ჟანდარმებს უკანონობა ჩაუდენიათო.

ბობრიკოვის დროს შეიცვალა მდგომარეობა. ჯაშუშობა გავრცელდა და საჯაშუშოდ აქეზებდა ხალხს თავგასული, ბობრიკოვისაგან ზურგ გამაგრებული ჟანდარმთა რაზმი.

ჯაშუშობის გაბატონება აღელვებს საზოგადოებას. არავინ იცის ვინ ან რას მოიგონებს მასზე და როგორ უნდა გამართლდეს ან დაიცვას თავი. ამიტომ ყველა ბოლოს და ბოლოს თვით იმ სისტემის წინააღმდეგი სდება, რომელმაც შექმნა, რომელიც ასაზრდოებს ამ ჯაშუშობას.

ჯაშუშობდნენ კერძო პირებზე, ჯაშუშობდნენ სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებაზე, ჯაშუშობდნენ ფინლიანდიის უმაღლეს მოხელეებზე და თვით იქაურ სეიმზე.

ამ ბოლო ხანებში საზოგადოება თუ არავითარს პატივს არა სცემს კანონს და ყოველგვარ უწესოებასაც თუ სჩადის, ამისი მიზეზი თვით ეს ჟანდარმების და ის მოხელე პირები, რომელნიც თვითონ არღვევენ კანონს და ათასნაირ ძალ-მომრეობას იჩენენ იმათზე, ვისაც არა სურს დაემორჩილოს იმათ უკანონო ბრძანებას. სადაც მთავრობის მოხელეები პატივს ცემით არ ეკიდებიან კანონს,— იქ ვერც ხალხი გამოიჩენს კანონის პატივისცემას. სრული დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ კანონიერების აღდგენით შეიძლება მშვიდობიანობის აღდგენაც. ძალადობით და ბრძანებით საქმის გაკეთება არ შეიძლება!..

ფინლიანდელების მოსაზრება უთუოდ მისაღებია, მით უფრო ჩვენთვის, სადაც ხშირად გვესმის ჩივილი, კანონს არღვევენო.

—

გაზ. „Slowo Polskie“-ში დაბეჭდილია ზოგიერთ პოლონელის წერილი ეროვნულ მიმართულების შესახებ.

„ზოგიერთი გარეშე პირი,—ჩვენი ხალხის მტერი,—ცდილობს გაავრცელოს ჩვენში აზრი, ვითომ ჩვენთვის არ იყო საჭირო „პოლონეთი“, არ იყოს საჭირო ეროვნული მიმართულება! მაგრამ ამას ამბობენ ან სულელები ან განზრახ ჩვენ სამტროდ გამოსული პირები. მათ არ ესმით, რომ პოლონეთი, ეროვნული მიმართულება მოასწავებს ბავშვების აღზრდას დედა ენაზე, ჩვენს დედა ენაზე; სასამართლოებში და კანცელარიებში საქმის წარმოებას ჩვენებურ მოხელეთაგან, რომელთაც უკეთ იციან ჩვენი ჭირი და ვარამი, ვიდრე შორიდან გადმოხვეწილმა პირებმა, ჩვენმავე მტრებმა. ეროვნული მიმართულება მოასწავებს ჩვენ ახალგაზრდობისაგან ჯარში ჩოფნის დროს ჩვენსავე მხარეში დარჩენას და ეხლანდელ წესის მოსპობას, როდესაც გვაგზავნიან შორს, უცხო მხარეში, სადაც უმეტესობა გადაგვარების გზას ადგს ან იხოცება. ეროვნული მიმართულება მოასწავებს ადგილობრივ საქმეების მართვა-გამგეობას თვით ადგილობრივ მცხოვრებთაგან, ადგილობრივ წარმომადგენელთა უფლებების აღდგენას... ეროვნული მიმართულება—ყველა ერთა ნამდვილი თანასწორობა არის, ეს არის ერთმანეთის დამონების მოსპობა“.

ხშირად რუსების ბიუროკრატიის წარმომადგენელნი ცდილობენ, გაავრცელონ ჩვენში ისეთი აზრები, რომელიც მათთვის და მათ ეროვნებისათვის არის სასარგებლო, მაგრამ თვალის ახელა არის საჭირო, დასძენს გაზეთი.

—

გაზ. „რუსში“ მრავლად იბეჭდება პოლონელების წერილები. ზოგიერთ ქართველის წერილიც იყო ამას წინად დაბეჭდილი ამავე გაზეთში.

„განაპირა ადგილებში დიდი ხანია მოუთმენლად ელიან სასწავლებლების განახლებას და მოწესრიგებას. და ამ მხრივ კივკასია სხვა კუთხეებზე უფრო შეხებულია. აქ თან და თან ფეხს იკიდებს და ძლიერება არა პედაგოგიური წესი სწავლებაში, აქ სწავლას უფრო სხვა, საპოლიტიკო მიზნები აქვს დასახული სასახუროდ: სასწავლებელს დაავალეს უცებ გაარუსოს ყველა და ამისთვის დაიწყე რუსულის სწავლება ადგილობრივ ენების დაუხმარებლად. იმ ბავშვს, რომელსაც თავის დედა ენის მეტი არა გაუგონია რა, სვამენ სასწავლებელში და უბრძანებენ, ლეკციების უვარგის სახელმძღვანელოს საშუალებით ისწავლე რუსული ენაო.

ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებათა უყურადღებოდ დატოვებას, სასწავლებელის საპოლიტიკო იარაღად გადაქცევას სალხში; ახალ საპედაგოგო ექსპერიმენტების შემოღებას მოჰყვება სავალალო შედეგი: არის სასწავლებლების შენობები, მაგრამ არა სჩანან მოსწავლეები—გაქცეულან სასწავლებლიდან.

მასწავლებლებად რუსებია რომ ქართულმა მასწავლებელმა უცაბედათ არ დაუწყოს ბავშვებს ქართული ლაპარაკი და რომ არ იყოს უადგილო ქართველი მასწავლებლები, ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლები ქართველი მიიღონ სასტატო გორის და ხონის სემინარიასა და ინსტიტუტში.

წინად სამხედრო სასწავლებელში მაინც სწავლობდნენ რასმე ბავშვები, ეხლა ვოსტორგოვის მოსვლის შემდეგ აქაც იგივე წესი დამყარდა. აქაც შემოიღეს „მუნჯური მეთოდი“, აქაც დააფრთხეს ბავშვები.

თვით ადგილობრივი სათავად-აზნაურო სასწავლებელსაც ეჭვის თვალით უყურებენ იმიტომ, რომ აქ სხვა საგნებთან ერთად ასწავლიან ქართულსაც და საქართველოს ისტორიასაც და აქედან გამოსულებს აღარ იღებენ გიმნაზიებში, 11-ში ათს მაინც ჩასჭრიან უთუოდ.

საჭიროა ამის მოსპობა, საჭიროა მეტი ნდობა და მაშინ უფრო ადვილი იქნება მეგობრული განწყობილება.

ამ წერილის დამწერი ბ-ნი ა. ხ. დასძენს, რომ უსართლობა არის საზოგადოთ განიდევნოს

სასწავლებლიდან ის ენა, რომელსაც შეუქმნია თავისი მწერლობა და რომელიც ათასი წლის განმავლობაში ითვლებოდა კულტურულ ენად.

# რუსეთი

**კურსკში შეგირდების მხეცური ცემა-ტყეპა მოუხდენია პოლიციას** 12 თებერვალს, როგორც „რუსული უწყების“ კორესპონდენტი იუწყება. ყველა სასწავლებლების შეგირდებს 11 თებერვალს სწავლისთვის თავი დაუნებებიათ და მთავრობისთვის თავიანთი მოთხოვნილებები წარუდგენიათ. პირველი გიმნაზიის შეგირდებს 12 თებერვალს შეუწყვეტიათ სწავლა და ქალების გიმნაზიისაკენ წასულან, მაგრამ ქალებისთვის კარები დაუკეტია მთავრობას და ქუჩაში არ გაუშვია. არ გაუშვიათ აგრეთვე რეალურ სასწავლებლის შეგირდებიც, მაგრამ ამათ გაუმტვრევიათ ფანჯრები, კარებები და კარში გასულან. თანდათან ყველა სასწავლებლების შეგირდები შეერთდნენ. პოლიციას ჯერ ხელი არ უხლია მათთვის, მაგრამ, როდესაც მთელი გროვა შეგირდებისა მოსკოვის ქუჩისაკენ წასულა, პოლიცმეისტერის ბრძანებით, მოსწავლეებს დასცემიან თავს პოლიციელები, უბნის მეთვალყურენი ხმლებით ხელში და დარაჯები და, აი, აქ მომხდარა საშინელი ამბავი. ბავშვებს სცემდნენ თავ-პირში, ისინი ფეხ-ქვეშ უვარდებოდნენ გამხეცებულ პოლიციელებს, რომლებიც იმათ ათრევდნენ და ფეხქვეშ სთელავდნენ. ერთი 11 წლის ბავშვი წაუქცევია დარაჯს, ამოუდვია ფეხ-ქვეშ, წაუვლია ფეხში ხელი და ქუჩის ქვაფენილზე დაუნარცხებია საწყალი ბავშვის თავი. ყველაფრის აღწერა შეუძლებელიაო, უმატებს კორესპონდენტი.

ამ დრამის უკანასკნელი მოქმედება წითელ მოედანზე მომხარა. აქ პოლიციის საშველად გამოცვივნულა წინდაწინვე მომზადებული და გაწრთვნილი ბრბო ყასპებისა, წვრილ მედუქნეებისა და უსაქმურად მოხეტიალეთა. ესენი რომ გაფიცულ შეგირდებს გალახვით არ სჯერდებოდნენ, სცემდნენ ყოველს გამვლელ მოსწავლეს. ერთს სტუდენტს ისე სცემეს, რომ ცოცხალ-მკვდარი ხელით წაიღეს სახლში. ამბობენ, მოკვდაო კიდეც. ერთი გამვლელი წაესარჩლა ბავშვს, რომელსაც საშინლად სცემდა პოლიციელი. ბოქაულმა უპასუხა, „ხომ ხედავთ, პოლიცია კი არა სცემს შეგირდებს, არამედ უბრალო ხალხი, რომელიც იფარავს თავის მეფეს, შენ კი გაპონის მომხრე ხარო“, და დაუშინა იმასაც. პოლიცია ხელსაც არ ანძრევდა. საღამო ჟამს ასე ლაპარაკობნენ, თურმე, მეფის „დამცველნი“: „რა კარგი იქნება, რომ ხვალაც ასეთი სამუშაო გაგვიჩნდეს: არაყიც დაგვალევინეს და თითო მანეთიც დაგვირიგესო.“ თავის ყურით გამგონი იწერება, რომ ბოქაულს ალექსეევს ბრბოსთვის მიუმართავს: «მადლობელი ვარ, ძმებო; დახმარებისთვისაო». ერთს მოხუცებულს უამბნია საბჭოს კრებაზე: „საშინელი ამბები ვნახე: 10, 11, 12 წლის ბავშვებს თავ-პირს უსისხლიანებდნო, თმით ათრევდნენ, ფეხ-ქვეშ თელავდნენ, თმებს გლეჯდნენ; სახლში რომ დავბრუნდი, ჩემი პატარა შვილი გვერდებ ჩამტვრეული, თავ-პირ გასისხლიანებული დამხვდა; იქნება საუკუნოდ დასახიჩრებულიც იყოსო „ღმერთო!,—განაგრძო მოხუცმა—ერთი ჩემი შვილი შორეულ-აღმოსავლეთში სისხლსა ღვრის სამშობლოსათვის, მეორე შვილის სისხლს კი აქ სახლში აქცევს პოლიციაო“. ამ სიტყვებზე საცოდავ მოხუცს გული შეუწუხდა და ძირს დაეცემოდა, რომ არ დაეჭირათ. („რ. უ“.)

# კორესპონდენცია

**ლანჩხუთი** (გურია). დღეს, დღეობით ლანჩხუთსა და მის არე-მარეში მშვიდობიანობაა. ქურდობას, ძალმომრეობას, ღვთისშას ხახლმა ბოლო მოუღო და მრავალი სხვა და სხვა გამოუდეგარი, ოჯახის დამაქცეველი ხარჯები შეამოკლა (მაგალითად, ტირილი და სხვა.)

აქ ჩამოყენებულ ყაზახთა რაზმი ამ დღეებში ხონში გადაიყვანეს. დამშვიდებული ხალხი დიდის გაფაციცებით და სასოებით ადევნებს თვალ-ყურს ომისა და რუსეთის გუბერნიებში მომხდარ არეულობის ამბებს. პეტერბურგსა და ქუთაისში მომხდარმა ამბებმა აქაური გლეხობა ძლიერ აღელვა.

სოფლის სასამართლო და სხვა ამგვარი დაწესებულებანი სრულიად მიატოვეს. საქმის გასარჩევად აღარავინ ეტანება. აქაურმა «პრავიტელსტვენნი სტარშინამ» დიდი ხანია სამსახურს თავი მიანება და საქმეებს სოფლიდან ამორჩეული კაცები განაგებენ, მაგალ.: ათის თავი, ასის თავი, სამასის თავი, საზოგადო წარმომადგენელი და სხვა.

არეულობის გამო გასულ წელს დახურული სამოქალაქო სასწავლებელი, ამა წლის 7 იანვარიდან გაღებულ იქმნა და სულყველა მოწაფეები მიიღეს.

ეკონომიურად კი მცხოვრებლები ძლიერ დაქვეითებული არიან და მოუთმენლად მოელიან სიმინდის ფასის აწევას.

**სოფლელი გლეხი.**

# წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! *) ფრიად სასიამოვნო ამბავი ამოვიკითხე თქვენის გაზეთის ფურცლებზე, სახელდობრ ის, რომ გურულებს საშუალება გვეძლევა გაზეთის შემწეობით ჩვენი გასაჭირი გამოვთქვათ საზოგადოების წინაშე. თუმცა ჩემს ჩივილს კერძო ხასიათიც უძევს, მაგრამ მთელი საზოგადოებას უკმაყოფილება კერძო კაცთა

უკმაყოფილებისაგან შესდგება. მიზეზი გურულების მოძრაობისა მრავალია, მაგრამ ის გამწვავა უმთავრესად ადგილობრივ ადმინისტრაციის შეუფერებელმა მოქმედებამ... მთელის ქვეყნის წინ ამისთანა საქმეები ხდება.

შარშან მოკლეს ამაღლების საზოგადოების მცხოვრები თეოფილე მახარაძე. ვინ იყო მკვლელი ყველამ იცის და თითონ ისიც მკვლელობას არ უარჰყოფს. იმის მაგივრად, რომ მკვლელი სამართალში მიეცათ, ის დღესაც თავისუფალია და პოლიციისაგან ნება აქვს მიღებული ატაროს ბერდანის თოფი. მკვლელობის შემდეგ, პირველ ხანებში, ის ჩარიცხულ იქმნა სტრაჟნიკად და ჩახატაურში ახლდა პრისტავს.

ამავ წელს მოკლეს ბასილეთის მცხოვრები ბესარიონ გოგობერიძე. მკვლელი უშიშრად აღიარებდა თავის საქციელს, მაგრამ დასჯის მაგივრად, მან პოლიციისაგან ნება მიიღო ბერდანის ტარებისა და ამასთანავე მხლებლად დაუყენეს სახელმწიფო სტრაჟნიკი.

უცნაური იყო აგრეთვე მკვლელობა ყველასაგან სოფელში კარგად ცნობილის ალექსი გირკელიძისა, რომელიც ყელ-გამოჭრილი იპოვეს ერთ დღეს თავის სახლის ახლო. ამ მკვლელობამ ხალხი ძლიერ ააშფოთა და მას განსაკუთრებითს ხასიათს და მნიშვნელობას აძლევდნენ...

ყველა ეს გარემოება ძალიან აღელვებდა გურულებს და უკარგავდა რწმენას იმ პირებისადმი, რომელნიც განაგებდნენ გურიის საქმეებს.

მეც თურმე მიზანში ვარ ამოღებული და ამ სამის კაცის ბედს მიქადიან. და დღეს ბეჭდვითის სიტყვის საშუალებით მინდა ვაცნობო საზოგადოებას, რომ მზად ვარ შეურყეველის საბუთებით დავამტკიცო ყველა ზემოდ ნათქვამი და აგრეთვე ავუსხნო ისეთი ფაქტები, რომელთა შესახებ, აქ, გაზეთში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერა ვწერ.

სოფ. ბახვის მცხოვრები **მელქისედეკ მახარაძე.**

# ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

23 თებერვალი.

**ტოკიო,** 22 თებერ. კვალად იუწყებიან ფრონტიდან, უფრო ოფიციალურად, იაპონელები გამარჯვებულნი წინ მიდიანო, თუმცა რუსები მამაცად და მტკიცედ ეწინააღმდეგებიანო. 21 თებერვალს რუსებიც რამდენჯერმე იერიშით წამოვიდნენ სინძინტინისკენ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენო. 22 თებერვალს ღამე იაპონელებმა დაიპყრეს ერთი მაღლობი ხუანხოდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, ოთხი კილომეტრის მანძილზე მაძიადანიდან. 21 თებერვალს ნაშუადღევს პანძინუა დაიჭირეს, ბენსიხუს მიდამოში, მაძიადანეს სამხრეთად, ექვსი მილის მანძილზე, და ამას გარდა, რუსები განდევნეს სინტინძიდან, ტუძიატუნის სამხრეთ-აღმოსავლეთად, ორის მილის მანძილზე. 20 თებერვალს, ღამე, რუსებიც იერიშით წამოვიდნენ იაპონიის ფრონტზე გაოტულიანთან, მაგრამ ესა და სხვა იერიშებიც რკინის გზის ლიანდაგს ახლო მოგერებულ იქმნა. ეხლა იაპონელები იბრძვიან ხენჩინპუსა და ეტხაიძის შორის, რკინის გზის დასავლეთად. რუსები მხნედ უხდებიან, ეტყობა, ჯარი მოუშველებიათ. 21 თებერვალს რუსებმა იერიში მოიტანეს დაშიცაოზე, ხუნხეს მარჯვენა ნაპირს, მუკდენის ჩრდილო-დასავლეთით, ათი მილის მანძილზე. რუსებს ქვეითი ჯარის ერთი დივიზია ჰყავდათ 70 ზარბაზანით. აქამომდე ყოველი იერიში მოგერებულ იქმნა.

გაზეთებს რომ ვერწმუნოთ, რუსის ჯარის უმთავრესი ნაწილი ვითომც უკან დაიძრა, მაგრამ, სარწმუნო პირების აზრით, ასეთ დახევის ნიშანი ჯერ არა სჩანს. იაპონელები მივიდნენ იმ პოზიციებამდე, რომლებიც მუკდენის დასავლეთად არის, ექვსი მილის მანძილზე, და ამრიგად რუსების ცენტრი თითქმის გარშემორტყმულია, და უკან დახევა გაუძნელდება. აქამომდე არ არის ცნობები იაპონელების წინწასვლის შესახებ სინძინტინთან. ერთ მცოდნე კაცის აზრით, კუროპატკინს შეტყობილი ჰქონდა, რომ იაპონელები სინძინტინზე აპირობდნენ იერიშის მიტანას, მაგრამ ჰგონებია იაპონელების ცენტრზე რომ ძლიერი იერიშები მივიტანოთ, უმთავრესი ძალა იქით გადავაო. ცინხენჩენსა და ხუნხეს შორის სოლისებით რომ შეეხეხებოდა იაპონელების ცენტრს, ეგონა შუაზე გავაპობო, მაგრამ განზრახვა არ გაუმართლდა და პირიქით ხელი შეუწყო იაპონელების წინმსვლელობას სინმინტინისკენ. ოიამა დიდ მნიშვნელობას აძლევდა სინმინტინის აღებას. ბოლოს დროს კუროპატკინი ცდილობდა იაპონიის ცენტრში სუსტი მხარე ეპოვა, მაგრამ ეხლა კი დარწმუნდა, რომ მისი გეგმა უიმედოა, და ამიტომ ცდილობს ფრთები გააძლიეროს, რითაც თავის ცენტრს ასუსტებს და განსაცდელში აგდებს.

**მუკდენი,** 22 თებერვ. ათი დღის სასტიკი ბრძოლა თანდათან მედგარი ხდება. რაოდენობა ტყვია-ყუმბარებისა, რომლებსაც ორივე მხარე ისვრის, მეტად დიდია. მას შემდეგ, რაც ჩვენი მარჯვენა ფრთე მოტრიალდა ჩრდილოეთისაკენ და პირი დაიჭირა გზის შემომვლელ იაპონიის რაზმისაკენ, ორივე მოწინააღმდეგე მედგრად სდგას თავის ადგილებზე. ზოგიერთი ადგილები დასავლეთის ფრონტზე ხან ჩვენს ხელშია და ხან მტრისა, რაიცა იწვევს აუარებელ მსხვერპლთ. დღეს მთავარი ბრძოლა იყო სინმინტინის გზაზე იუნხუანტუნის სოფელთან, 5 საათზე იუნხუანტინის სოფელში. იაპონელები მაინც მოდიოდნენ იერიშით. 21 თებერვალს იაპონელებმა იერიში მოიტანეს რენენკამფის რაზმზე, გოუტულინის უღელტეხილზე და პუტილოვის ახლო პოზიციაზე.

**ტოკიო,** 22 თებერვ. ორშაბათს ხოინმინგის მხრიდან, ტიტაიტის ახლოს, რუსებმა რამდენჯერმე კონტრ-იერიში მოიტანეს, რომელიც ჩვენ ყველა მოვიგერეთ (რეიტერი).

**ლონდონი,** 21 თებერვ., იანვრის „საილჩოს ატყობინებენ, რომ 21 თებერვალს ტიტის ახლოს რუსებმა რამდენიმე კონტრ-იერიში მიიტანეს, მაგრამ იაპონელებმა მოიგერიეს. მაჩუნტანის ახლოს იაპონელები განაგრძობენ ერიშს. რუსები მედგარს წინააღმდეგობას უწევენ. მაჩუნტანიდან ორი მილის მანძილზე იაპონელებმა მაღლობები დაიჭირეს. 21 თებერვალს იაპონელთა რაზმმა დაიჭირა მაღლობები პაიცზუკუს სამხრეთით, პენსიხუს მხარეზე. რუსების იერიში 20 თებერვალს კაოტელინის ახლოს და ტუნგჩანფენგის ჩრდილოეთით უნაყოფო იყო. ამ წუთში ბრძოლა არის ხანჩეპასა და ეოლიტაიცზუს შუა. ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე გამოჩნდა რუსების ერთი დივიზია, რომელსაც 70 ზარბაზანი ჰქონდა, მაგრამ იაპონელებისაგან განდევნილ იქმნა.

**სინმინტინი,** 22 თებერვ. (დეილი ტელეგ.) გააფთრებული ბრძოლა არის რკინის გზის სადგურთან.

**მუკდენი,** 24 თებ. იაპონელები მიუახლოვდნენ სადგურს სამი მილის მანძილზე, მაგრამ რუსებისაგან უკუქცეულ იქმნენ და შვიდ მილზე უკან დაიწიეს.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ იგი წინააღმდეგი არაა ნება მიეცეთ მღვდლებს, მასწავლებლებს, სასანიტარო მზრუნველებს, უბნის ფელდშერებს და ქალ-ფელდშერებს, ხოლერის შესახებ სახალხო კითხვების გამართვისა,—საგუბერნიო სასანიტარო კომისიის მიერ მოწონებული წიგნაკები უკითხონ და წაკითხი აუხსნან. საიმპერატორო მართლმადიდებელ პალესტინის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის უქვეშევრდომილესის მოხსენებისამებრ, უმაღლესად ნაბრძანებია განხორციელდეს დიდის მთავრის ელისაბედ თეოდორეს ასულის სურვილი და ამ საზოგადოების თავმჯდომარეობის წოდება მიენიჭოს.

**ბერლინი,** 22 თებ. ჰფიქრობენ, გამოსცენ ახალი სახელმწიფო სესხი 400 მილიონ მარკისა. აფრიკის ექსპედიციისთვის 1904 დამატებით დასჭირდება 26 1/2 მილ. მარკ. 1905 წელს საჭიროა 34 მილ.

**ლონდონი.** სადამოს ბუკინჰემის სასახლეში ბულგარიის მთავრის პატივსაცემლად ბანკეტი გამართება. დასნდოუნი დიდხანს ეთათბირა მთავარს ფერდინანდს. მეფემ რამდენსამე ხანს დაჰყო მათს თათბირზე. მთავრის მოსვლის გამო „ტაიმსი“ ურჩევს ბულგარიას, თავი დაანებოს წვრიმალ ინტრიგებს, იმოქმედოს დიდ სახელმწიფოებთან ერთად, და ხელი შეუწყოს მათს მეცადინეობას მაკედონიის დამშვიდებასა და მის შინაურ მდგომარეობის განწესრიგებაში.

**ლონდონი.** აქ მოუთმენლობა და აშფოთება დაეტყოთ იმის გამო, რომ დიდხანს იგვიანებს ინგლის-ინდოეთის მისია დენისა ქაბულს გაგზავნილი მოსალაპარაკებლად ახალ ხელშეკრულობის შესახებ, რომელმაც ავღანისტანისა და ინდოეთის ურთიერთო დამოკიდებულება უნდა დაამყაროს. „პელ მელ გაზეთი“ შეეჭიანებულა—ხანგრძლივ მოლაპარაკებას რომლის გათავება სასურველი იყო, დაბრკოლება, რომ კი არ გაუწიოს ემირმა, კაცმა ცბიერმა და ბოროტმა. ინგლისის მთავრობის ღირსების დამცირებაა რომ დღენი ამდენხანს ქაბულშია და განზრახულ ხელშეკრულობის შესახებ ისე გაჭრობს როგორც რომელსამე აღმოსავლეთის ბაზარზეო.

**პეტერბურგი,** 22 თებერვ. 5 მარტს ფინანსთა სამინისტროს კომისია ახალ რკინის გზათა გაყვანის შესახებ განიხილავს პრინციპიალურ საკითხს. ეს საკითხია გაყვანილ იქმნას ახალი რკინის გზა, რომელმაც თურქესტანი უნდა შეუერთოს ციმბირს რკინის გზით. სახელოსნოების მუშების შესახებ დროებითი წესების ძალით, მუშებს ნება ეძლევათ რიგის მიხედვით ამოირჩიონ დეპუტატები, რომელთაც მთავრობას უნდა განუცხადონ მუშათა საჭიროებანი. მუშებს სათათბირო ხმის უფლებაცა აქვსთ და შეუძლიათ ამ უფლებით ისარგებლონ იმ კომისიებში, რომელმაც მუშათა დათხოვნის საქმეები უნდა განიხილოს. მუშათა დეპუტატები ორის წლის ვადით უნდა აირჩიონ და სათანადო მთავრობამ უნდა დაამტკიცოს.

**მოსკოვი,** 22 თებერვალი. სენატისადმი ბოძებულ უმაღლესის ბრძანებით სასურველ რეფორმების შემოღების თაობაზე თავისი აზრი უნდა წარმოსთქვან ერობათა წარმომადგენლებმაც. ამის გამო მოსკოვის საგუბერნიო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ერობა დაუყოვნებლივ შეუდგება კომისიის არჩევასაო.

**ბათუმი,** 22 თებერ. დღეს წესიერება არ დარღვეულა. ბნიტოს ქარხნის მუშებს ანგარიში გაუსწორეს და დაითხოვეს.

**უფა,** 22 თებ. უფის საგუბერნიო სტამბის მუშებმა ხელმწიფეს განუცხადეს უქვეშევრდომილესი გრძნობანი დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის მოკვლის გამო. ხელმწიფემ საკუთარის ხელით წააწერა: „გულით ვმადლობ ჩვენის საოჯახო მწუხარების გამო თანაგრძნობის გამოცხადებისათვის.“

**ბელგრადი.** 22 თებ. სკუპშჩინამ ხალხის დასუწრებელ კრებაზე შეიწყნარა და დაამტკიცა დამატებითი კრედიტი 200,000 ფრანკი მაკედონიის საქმისათვის.

**პეტერბურგი,** 23 თებ. ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონის პროექტის შემმუშავებელი საბჭო 22 თებერვალს, 12 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 8 ხმისა, იმ აზრს დაადგა, რომ სატახტო ქალაქის გაზეთებისათვის დაწესებულ იქმნას გირაოდ 5,000 მან., ხოლო პროვინციალურ გაზეთებისათვის კი—2,500 მან.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **ალ. სარაჯიშვილი.**

# გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 22 თებერვალი 1905 წ.**

| | |
|---|---|
| ლონდონისაზე 10 გირვ. სტ. | 94,25 |
| ბერლინისაზე 100 მარკაში | 46,07 1/2 |
| პარიჟისაზე 100 ფრანკში | — |
| ლონდონისაზე ჩეკები | 94,90 |
| ბერლინისაზე „ | 46,30 |
| პარიზისაზე „ | 37,63 |
| ბირჟის დისკონტი | 5 1/4—6 3/4 % |
| 4 % სახელმწიფო რენტა | 89 7/8 |
| 4 %-ანი სახ. სესხი 1092 წ. | — |
| 4 1/2 % შინაგანი სესხ. 1903 წ. | — |
| 4 % გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ. | 86 1/8 |
| 5 % პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ. | 394 „ |
| 5 % მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ. | 325 „ |
| 5 % გირ.-მომ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ. | 271 „ |
| 5 % ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ. | — „ |
| 4 1/2 % ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 5 %-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ. | — |
| 5 % გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა | — |
| 4 1/2 % გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა | — |
| 6 % გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა | — |
| 5 % გირავნ. ფურც იმავე ბანკისა | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 226 |

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ, (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3) ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**ბ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

**გ) ბათუმიდან გამოდის:**

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 (წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

**საავადმყოფოები:**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტეროსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა.** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა.** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალის სამკურნალო.** კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟეს კის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო** იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქ 1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

# სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

**ტფილისში:**

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

# განცხადებანი

სპობს სრულებით შეუწუხებლად ბებერას, მეჭეჭებს, ლაქებს, ხელის და ფეხის ოფლს და ბრჩხილების ზრდას სისწორეს აძლევს ი. სილნიცკი, პუშკინის პასაჟი № 20.
(1—37—1)